www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 20 ივნისი, 2012 წელი. | №3043 (136) | ფასი 50 თეთრი

განაჩენი ოქტომბერში

საგაზაფხულო სესიის ბოლო დებატები

დათო გამისონია

გუშინ პარლამენტის საგაზაფხულო სესიის ბოლო დებატები გაიმართა. ფრაქციის «ერთობა სამართლიანობისთვის" წევრებმა რეგლამენტით მინიჭებული უფლება გამოყენეს და პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისთვის 30 წუთი ითხოვეს. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ოპოზიციონერ დეპუტატებს სიტყვა გადასცა. მანამდე კი დეპუტატებმა გამოსვლები განცხადებების პროცედურის გამოყენებით დაიწყეს.

ტრიბუნა პირველმა "ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ დაიკავა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

დიდი ოცეულის სამიტი მექსიკაში

გვ.4

"ევროპამ უკან დაიხია და ასპარეზი სხვა მოთამაშეებს დაუთმო"

თინა შავაძე

ევროზონის კრიზისი არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და შეიძლება, მნიშვნელოვნად შეცვალოს ევროპისა და აზიის გეოპოლიტიკური ბალანსი, - წერს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორი უოლტერ რასელ მიდი Wall Street Journal-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

იუბილარი „საბას" ათი ნომინაცია

ლიტერატურული პრემიის გამარჯვებულებს ივნისის ბოლოს დააჯილდოებენ

ია ვეკუა

თვის დასასრულამდე ათიოდე დღე რჩება და რომ არა ამ დროისთვის დაგეგმილი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, ივნისიც ისე შეუმჩნევლად მიილეოდა, როგორც წელიწადის დანარჩენი თვეები. მნიშვნელოვანი მოვლენა კი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია "საბას" დაჯილდოების ცერემონიალი გახლავთ, რომელიც წელს, წესით, განსაკუთრებით საზეიმო და გრანდიოზული უნდა იყოს, რადგან პრემია 10 წლის იუბილეს ზეიმობს.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6363₾
1 ევრო	2.0645₾
1 ინგლისური გირვანქა	2.5440₾
1 თურქული ლირა	0.9010₾
100 რუსული რუბლი	5.0512₾

თბილისი	32°C - 18°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	32°C - 16°C
ზუგდიდი	27°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.61	-0.03	-1.23%
გაზი	2.61	+0.14	+5.48%
ოქრო	1,629.50	+1.40	+0.09%
ხორბალი	630.25	+20.75	+3.29%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ტრევიზოში შენგელიას NBA-ს გუნდების წარმომადგენლები შეხვდნენ

ლევან მელქაძე

28 ივნისს გაიმართება NBA-ს დრაფტი, რომლის მეორე რაუნდში, სავარაუდოდ, საქართველოს ნაკრების კალათბურთელს თორნიკე შენგელიასაც აირჩევენ. NBA-ს დრაფტამდე თორნიკემ ტრევიზოს კემპში მიიღო მონაწილეობა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ქართველი ფორვარდის შესახებ უცხოურ მედიაშიც წერენ. თორნიკეს მომავალზე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდს ესაუბრა მისი მენეჯერი, ფიბას ერთადერთი ლიცენზირებული აგენტი ლევან მელქაძე, რომელიც ამერიკის წამყვან სააგენტო LMG sports management-თან თანამშრომლობს.

- რა გამოხმაურება მოჰყვა ტრევიზოს კემპზე შენგელიას გამოსვლას?

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის" და „Weekend"-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" წიგნებზე „საქართველოს ფოსტის" პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგის მორიგი რაუნდი გაიმართება

თბილისში 26 ივნისს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებების საკითხებზე დიალოგის მორიგი რაუნდი გაიმართება, - ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელ ფილიპ დიმიტროვის განცხადებაშია ნათქვამი.

ელჩის განცხადებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებების საკითხებზე დიალოგი ორმხრივი პროცესია და საშუალებას იძლევა, წინსვლა დაფიქსირდეს და ის საკითხები წამოიჭრას, რომლებიც შეშფოთებას იწვევს.

"დიალოგის წინა რაუნდის შემდეგ, რომელიც 2011 წლის ივნისში ჩატარდა, გაგრძელდა წინსვლა სამართლებრივი რეფორმის, აღმსარებლობის თავისუფლების, იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობისა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ დამოუკიდებელი მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით. ასევე აღინიშნა, რომ 2011 წლის მაისის შემდეგ ჩატარებული დემონსტრაციების უმეტესობა მოწესრიგებულად მიმდინარეობდა," - ნათქვამია ფილიპ დიმიტროვის განცხადებაში.

ელჩი აღნიშნავს, რომ მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში ევროკავშირი მოელის წინსვლას ტოლერანტული და პლურალისტური პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისა და "ზეწოლის ან სამსახურიდან დათხოვნის შესახებ განცხადებებზე სწრაფად რეაგირების" მიმართულებით

დიმიტროვის განცხადებით, დიალოგის მორიგ რაუნდზე დისკუსიები ასევე შეეხება საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორისაა პატიმართა დიდი რაოდენობა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ანგარიშვალდებულება, უმცირესობები, სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირება და ადამიანის უფლებების მდგომარეობა სეპარატისტულ რეგიონებში.

"ევროკავშირი კვლავ წამოჭრის შრომითი უფლებებისა და სოციალური დიალოგის ხელშეწყობის საკითხს, განსაკუთრებით არსებული პრეფერენციების გენერალიზებული სისტემისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების კონტექსტში," - აღნიშნულია დიმიტროვის განცხადებაში.

გიორგი კარბელაშვილი ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იქნება

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილი ვაკის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იქნება, - ამის შესახებ "ინტერპრესნიუსი" პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება.

მისივე თქმით, ნაადრევია საუბარი იმაზე, თუ ვინ იქნება "ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო სიის პირველი ნომერი, თუმცა პირველ ათეულში ახალი სახეები იქნებიან.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მმართველი პარტიის საარჩევნო სიის პირველი ნომერი სწორედ გიორგი კარბელაშვილი იქნება. კარბელაშვილი ბოლო პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა იმ ღონისძიებებში, რომლებიც დატყვევებული ქართველი მეზღვაურების გამოხსნას ან სხვადასხვა ქვეყნებში მათი პრობლემების მოგვარებას ეხებოდა.

აფხაზეთში შორტებსა და ე.წ. "პანამკებში" გამოწყობილი რუსი სამხედროები იმსახურებენ

აფხაზური მედიის ინფორმაციით, ოკუპირებულ აფხაზეთში სამხედრო ბაზებზე უკვე ჩაიტანეს მსუბუქი საველე ფორმების 3 000-მდე კომპლექტი.

როგორც სამხედრო ბაზების ხელმძღვანელობა განმარტავს, ახალი ფორმები კლიმატური პირობების გათვალისწინებით შეიქმნა. კომპლექტში შედის: ე.წ.პანამკა, ქურთუკი, შარვალი, შორტები, მაისურები, წინდები და დაბალყელიანი სამხედრო ფეხსაცმელი. კომპლექტში შემავალი ფორმები კრემისფერია.

მსოფლიო ბანკის ახალი რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში

ნინო ნარჩემაშვილი

მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორად სამხრეთ კავკასიაში ჰენრი კერალი დაინიშნა. მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობაში აღნიშნავენ, რომ ახალი რეგიონული დირექტორი მოვალეობების შესრულებას 2012 წლის 1 ივლისიდან შეუდგება.

ჰენრი კერალი მსოფლიო ბანკის პროგრამას სამ ქვეყანაში - აზერბაიჯანში, საქართველოში, სომხეთში გაუძღვება და ამ ქვეყნებში ბანკის თანამშრომლობის სტარტეგიების მომზადებასა და განხორციელებას, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სხვა სტრატეგიულ პარტნიორებთან დიალოგს წარმართავს.

ჰენრი კერალის აქვს მუშაობის გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, რომელთა შორისაა სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზია, ევროპა და ცენტრალური აზია. უკანასკნელ პერიოდში ის ტრანსპორტის სექტორის ხელმძღვანელად მუშაობდა და ტრანსპორტის სფეროში მსოფლიო ბანკის მიერ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში დაფინანსებულ პროექტებს უძღვებოდა.

2003 წელს მსოფლიო ბანკში მუშაობის დაწყებამდე კერალი ინგლისში, ბირმინჰემის უნივერსიტეტში ასწავლიდა, სადაც იგი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე მუშაობდა. იგი ხელმძღვანელობდა ხარჯების ეფექტიანობის ეკონომიკური მოდელების კვლევას ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მიზანშეწონილობის შეფასების მიზნით.

კერალის ორმაგი მოქალაქეობა აქვს: იგი არის როგორც უგანდის, ასევე დიდი ბრიტანეთის მოქალაქე. თავდაპირველად მან ინჟინრის განათლება უგანდაში მიიღო. ამის შემდეგ კერალის მაგისტრის ხარისხი და დოქტორის წოდება მიღებული აქვს ინგლისში, ბირმინჰემის უნივერსიტეტში. იგი მრავალი პუბლიკაციის ავტორია.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის თანამდებობაზე ჰენრი კერალი ასად ალამს შეცვლის, რომელიც სამუშაოდ ქალაქ პრეტორიაში გადადის, სადაც სამხრეთ აფრიკის რეგიონში მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორად დაინიშნა.

"ვითიბი ბანკის" ავტოსესხი განსაკუთრებული პირობებით

ავტოსესხზე 12 თვის პროცენტი საჩუქრად, ავტომობილის დაზღვევა 6 თვის განმავლობაში უფასოდ, ავტოდაზღვევასა და ავტოსესხზე საპროცენტი განაკვეთების ყოველწლიური კლება 0,5 პროცენტით, სესხის ასაღებად შემცირებული თანამონაწილეობის პროცენტი - ასეთია პირობები, რომელსაც "ვითიბი ბანკი ჯორჯია" მომხმარებელს საზაფხულო აქციის ფარგლებში სთავაზობს. აქცია გუშინ დაიწყო და 31 აგვისტომდე გაგრძელდება.

აქციის ფარგლებში ავტოსესხზე მომხმარებლებისთვის განსაკუთრებული პირობების შეთავაზებას "ვითიბი ბანკი" პარტნიორების - "იბერია ბიზნეს ჯგუფის" შვილობილი კომპანია "კია მოტორსის", "ჰიუნდაი ავტო საქართველოს" და "აისი ჯგუფის" მეშვეობით ახერხებს. **"საკმაოდ ძლიერი და კარგი პარტნიორები გვყავს. აქედან გამომდინარე, ჩვენს მომხმარებელს ბევრ საჩუქარს ვთავაზობთ. ყველანი, ვინც "ვითიბი ბანკის" ავტოსესხით ისარგებლებენ, 12 თვის პროცენტს საჩუქრად მიიღებენ; თუკი აქამდე თანამონაწილეობა 30 პროცენტი იყო, აქციის ფარგლებში თანამონაწილეობის განაკვეთი 15 პროცენტამდე შემცირდა და ა.შ. ჩვენ მიერ შეთავაზებული პირობები ავტოსესხზე საქართველოში არც ერთ ბანკს არ გააჩნია. ვამაყობთ, რომ პარტნიორებთან ერთად მომხმარებლებისთვის ასეთი პირობების შეთავაზება შეგვიძლია. "ვითიბი ბანკი" - ეს დიდი უპირატესობაა!"** - ამბობს "ვითიბი ბანკის" მარკეტინგის დირექტორი გიორგი ბარკალაია.

ზაფხულის განმავლობაში "ვითიბი ბანკის" ავტოსესხით ავტომობილის შეძენის მსურველებს შესაძლებლობა აქვთ, ავტომობილები "იბერია ბიზნეს ჯგუფის" შვილობილ კომპანია "კია მოტორსსა" და "ჰიუნდაი ავტო საქართველოში" შეიძინონ.

"კია მოტორსი" 2007 წლიდან ცნობილი კორეული ბრენდის ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში. კომპანია ხელმისაწვდომი ფასის, 5-წლიანი ქარხნული გარანტიისა და გამორჩეული დიზაინის წყალობით ავტომობილების გაყიდვების მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს. **"ამ პროექტის ფარგლებში, ავტოგანვადებით დაინტერესებულ ყველა მომხმარებელს ორ საკმაოდ პოპულარულ მოდელზე, ბიზნესკლასისა და საშუალო კლასის სედანებზე 1000-დოლარიან ფასდაკლებას ვთავაზობთ. "კია ოპტიმას" მინიმალური ფასი აქციის ფარგლებში 19 500 დოლარია, ხოლო "კია სერატოს" ფასი - 14 600 დოლარი. ეს პირობები ვრცელდება, როგორც თბილისის, ასევე ბათუმის ფილიალებში. დღეს წარმოდგენილი პროდუქტები უპრეცედენტოა და უდავოდ კარგი შეთავაზებაა ავტომობილის შეძენით დაინტერესებულ პირთათვის. ვფიქრობ, ახალი ინიციატივა დიდ ინტერესს გამოიწვევს,"** - გვითხრა "კია მოტორსის" გაყიდვების ხელმძღვანელმა ნატალია შუბითიძემ.

"ჰიუნდაი ავტო საქართველო" ყველას, ვინც აქციის ფარგლებში "SONATA"-ს ან "SANTAFE"-ს მოდელებს შეიძენს, საჩუქრად Ipad-ს გადასცემს.

საკმაოდ მიმზიდველია სადაზღვევო კომპანია "აისი ჯგუფის" შეთავაზება. **"მოხარულები ვართ, რომ ამ პროექტში ჩავერთეთ, რადგანაც პირველ რიგში ის ხელს უწყობს დაზღვევის პოპულარიზებას. როგორც მოგეხსენებათ, დაზღვევის სექტორი დღეს საქართველოში ყველაზე სწრაფად მზარდია. ყველას, ვინც ავტომობილს "ვითიბი ბანკის" ავტოსესხით შეიძენს, ჩვენ 6 თვის ავტოდაზღვევას საჩუქრად გადავცემთ. მომხმარებლებისთვის კიდევ ერთი შეთავაზება გვაქვს: ყველა მძღოლს, რომლებიც წელს ავტოავარიის გარეშე დაასრულებენ, ყოველ მომდევნო წელიწადზე დაზღვევის 0,5 პროცენტს დავუკლებთ,"** - განაცხადა სადაზღვევო კომპანია "აისი ჯგუფის" პროდუქტების განვითარების სამსახურის უფროსმა ირაკლი დოკვაძემ.

"ვითიბი ბანკის" ავტოსესხზე საპროცენტო განაკვეთი 13 პროცენტამდეა, თუმცა მათ, რომლებიც ახალი შეთავაზების ფარგლებში ავტოსესხით ისარგებლებენ, როგორც აღვნიშნეთ, სესხის განაკვეთი ყოველწლიურად 0,5 პროცენტით შეუმცირდებათ. იმისთვის, რომ მომხმარებლებმა ახალი შეთავაზებით ისარგებლონ, ძველ სესხებზე 10 თვეზე მეტხანს ვადაგადაცილება არ უნდა ჰქონდეთ. ასეთ პიროვნებებს მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე ავტოსესხს 20 წუთში დაუმტკიცებენ.

"ვითიბი ბანკმა" ავტოსესხის პროდუქტი მომხმარებელს პირველად 9 თვის წინ შესთავაზა. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტი ახალია, დღეისათვის ავტოდაზღვევის ბაზარზე როგორც თანხობრივად, ისე რაოდენობრივად "ვითიბი ბანკი" ლიდერია. ასე იყო გასული წლის მიწურულსაც. **"ამ შედეგს ჩვენ მიერ შეთავაზებული ყველაზე კარგი პირობები და, შესაბამისად, მომხმარებელთა კმაყოფილება განაპირობებს. მომხმარებელი სანამ არ გაარკვევს, სად უკეთესი პირობაა, მანამდე ბანკს არ ირჩევს. მით უმეტეს, სესხის აღების დროს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ბოლო ცხრა თვის განმავლობაში ავტოსესხის გაყიდვების მაჩვენებლით ბაზრის ლიდერები ვართ,"** - ამბობს გიორგი ბარკალაია.

ამჟამად ბანკის ავტოსესხების პორტფელი 8 მლნ ლარია. "ვითიბი ბანკის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ წლის ბოლომდე ამ თანხის მოცულობა 12 მლნ ლარზე მეტი იქნება.

საზაფხულო აქციის ფარგლებში "ვითიბი ბანკის" პირველი შეთავაზება სამომხმარებლო სესხებს შეეხებოდა. ბანკი მომხმარებელს სამომხმარებლო სესხს ზუსტად 16 პროცენტად სთავაზობს. ავტოსესხი გაუმჯობესებული პირობებით ბანკის მეორე შეთავაზებაა. "ვითიბი ბანკის" ხელმძღვანელობის განცხადებით, მთელი ზაფხულის მანძილზე ისინი მომხმარებლებს ბევრ სიურპრიზს უმზადებენ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

განაჩენი ოქტომბერში

პირველი გვერდიდან

მან ხელისუფლება დაადანაშაულა პროსტიტუციის ხელშეწყობაში. ბაღათურიამ აჭარაში შექმნილი ვითარება აღწერა. მისი თქმით, აჭარაში საბავშვო ბაღებისა და სკოლების სიახლოვეს მეძავთა ბუდეებია შექმნილი. **"რას ეძახით თურქულ ინვესტიციას? ცენტრალური აზიიდან მეძავების იმპორტი ინვესტიციაა? მთავრობა ისე დაეცა, რომ პროსტიტუციით ფულს აკეთებს. ამას პოპულარულ ენაზე "სუტენიორობა" ჰქვია,"** - ამბობს ბაღათურია.

ჯონდი ბაღათურიამ ასევე მოითხოვა ინფორმაცია დეპუტატების სამივლინებო ხარჯების შესახებ. ოპოზიციონერმა დეპუტატმა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს და აპარატს ოფიციალური კითხვით მიმართა. "ქართული დასის" ლიდერის განცხადებით, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა პარლამენტის წევრების დროსტარებაზე იხარჯება.

პარლამენტის თავმჯდომარემ მას კონკრეტული მივლინებების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა ურჩია და შენიშნა, რომ ასეთი ინფორმაცია ყოველთვის ღიაა.

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერ გიორგი თარგამაძის აზრით კი, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციონერობას თამაშობს. როგორც თარგამაძემ პარლამენტის პლენარულს სხდომაზე აღნიშნა, ახლოვდება არჩევნები და, ბუნებრივია, თამაშის ის წესები და თავისებურებები, რომლებიც ხელისუფლებას აქვს, საზოგადოებისთვის უფრო მეტად საცნაური და გამოკვეთილი ხდება. **"სააკაშვილი ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის ჩავარდნის შესახებ საუბრობს. თითქოს, ეს მისი მთავრობის გადაწყვეტილება არ ყოფილიყო. გარდა ამისა, სააკაშვილი პირდაპირ ეთერში კომერციულ ბანკებს ტუქსავს, თითქოს მან თავისი უმრავლესობით არ მიიღო კანონმდებლობაში ცვლილებები, რომლებითაც ბანკებს ხელ-ფეხი გაუხსნა. ბანკებს მარტივად, ზოგ შემთხვევაში, სასამართლოს გვერდის ავლითაც კი, შეუძლიათ მოქალაქეებისთვის ბინების ჩამორთმევა,"** - აღნიშნავს თარგამაძე. მას ასევე აკვირვებს სააკაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ "ქრისტიან-დემოკრატებმა" თავიანთი დაპირებებით უკვე 10 მილიარდი ლარის ღირებულების თამასუქი გასცეს. **"საინტერესოა, სააკაშვილმა რომელი გაფუჭებული კალკულატორით დათვალა,"** - იკითხა გიორგი თარგამაძემ.

დებატების დიდი ნაწილი კი რეგიონების პრობლემებს დაეთმო. ფრაქციის "ერთობა სამართლიანობისთვის" თავმჯდომარემ დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარლამენტს ტყიბულის მონახულების შემდეგ დარჩენილი შთაბეჭდილებები გააცნო. ლორთქიფანიძემ ტყიბულის რაიონი თანამედროვე მონობის განხორციელებულ მაგალითად მოიხსენია და ტყიბულის მაჟორიტარ პავლე კუბლაშვილს რაიონის პრობლემებზე რეაგირება მოსთხოვა. **"ტყიბულში 1200 ადამიანი დასაქმებულია, მაგრამ მძიმე პირობებით. ადამიანები მაღაროში, 400 მეტრის სიღრმეში, შესაბამისი პირობების გარეშე მუშაობენ. იქ, სადაც ბოლოს წლების განმავლობაში 14 ადამიანი დაიღუპა, შრომის ელემენტარულ წესებს არ იცავენ. ამით თავის მოწონება არ შეიძლება,"** - ამბობს დიმიტრი ლორთქიფანიძე და განაგრძობს.

პავლე კუბლაშვილმა დიმიტრი ლორთქიფანიძე და ტყიბულში კოალიცია "ქართული ოცნების" მომავალი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ელისო ჩაფიძე ტყუილში ამხილა. **"ელისო ჩაფიძემ და დიმიტრი ლორთქიფანიძემ ტყიბულის მოსახლეობას განუცხადეს, თითქოს ქალაქში ბეტონის გზა იაპონიის მთავრობამ დააგო,"** - ამბობს პავლე კუბლაშვილი.

კუბლაშვილმა ტყიბულში არსებულ სოციალურ პრობლემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოსახლეობას კვლავ უჭირს, მაგრამ ხელისუფლება სირთულეების დასაძლევად ყველაფერს აკეთებს. **"დაგეთანხებით და გეტყვით, რომ მაღაროში მართლაც 1200 ადამიანი მუშაობს, მაგრამ 2005 წელს, როცა მაღაროს რეკონსტრუქციას ვიწყებდით, ყველა ამბობდა, რომ ის უნდა დალუქულიყო, რადგან მისი აღდგენის არავის სჯეროდა. იქ გასულ წლებში 300 ადამიანი იყო დასაქმებული და მიზერულ ხელფასს იღებდნენ. ახლა კი დასაქმებულია 1200 ადამიანი და მათი საშუალო ხელფასი 800 ლარია, ხოლო ვინც 400 მეტრის სიღრმეში საქმიანობს, ხელფასი 1200 ლარი აქვს,"** - მიმართა ლორთქიფანიძეს კუბლაშვილმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა ოპოზიციურ ფრაქციას "ერთობა სამართლიანობისთვის" "ბალალაიკა" უწოდა. **"ჩვენ გულწრფელად ვსაუბრობთ იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც საქართველოს მოქალაქეთა წუხილისა და გულისტკივილის მიზეზია. ვფიქრობ, სწორედ ეს არის თითოეული პარლამენტარის მოვალეობა და არა ის, რაც დღევანდელი განხილვების დასაწყისში ვიხილეთ. ფრაქცია "ბალალაიკამ" ჩვენს პარლამენტს ახალი სტრატეგია შესთავაზა, რომელიც თითქოსდა სხვადასხვა რეგიონების პრობლემების მოსაგვარებლად არის მიმართული,** - აღნიშნა წიკლაურმა და ოპოზიციურ ფრაქციას მიმართა, - **ქართველი ხალხი კარგად ხედავს, რომ თქვენი პოლიტიკური დაცემის მოახლოება არარაციონალურ აზროვნებას ბადებს. ელოდეთ, ოქტომბერში ქართველი ხალხი განაჩენს გამოგიტანთ."**

ბრიტანული და ამერიკული კანონები ლაზიკასთვის

დათო გამისონია

პარლამენტმა ლაზიკას სტატუსის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილების პროექტი გუშინ მე-2 მოსმენით დაამტკიცა. პროექტის თანახმად, კონსტიტუციაში ჩაიწერება - ლაზიკას სტატუსი ორგანული კანონით განისაზღვროს.

კენჭისყრამდე ლაზიკას საკითხს პლენარულ სხდომაზე კამათი მოჰყვა. ვიცე-სპიკერმა "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ლევან ვეფხვაძემ მომხსენებელს, იუსტიციის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ძაგნიძეს სთხოვა, დაასახელოს 5 მექანიზმი, რომლებიც ორგანულ კანონში იმისთვის ჩაიწერება, რომ ლაზიკამ ხელისუფლების დანაპირებ "ნათელ მომავალს" მიაღწიოს.

როგორც დიმიტრი ძაგნიძე ამბობს, ლაზიკაში რაც შეიძლება მოქნილი სამართლებრივი და ბიზნესგარემო ჩამოყალიბდება. მისი თქმით, წარმატებული ახალი ქალაქების აშენების მაგალითები არსებობს. მათ შორის არის დუბაის საერთაშორისო საფინანსო ცენტრი. **"შეიძლება საერთო სამართლის ქვეყნების გამოცდილების გამოყენება. დღესაც ბიზნესტრანზაციების დიდი უმრავლესობა სახელმძღვანელო კანონმდებლობად გაერთიანებული სამეფოს ან აშშ-ს კანონმდებლობას უთითებს. ეს ფაქტია. ამ ქვეყნებში ბიზნესის მიმართ სამართლებრივი სიცხადეა. ამიტომ, ლაზიკაშიც უნდა არსებობდეს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზები,"** - ამბობს დიმიტრი ძაგნიძე.

ლევან ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მის კითხვას ვერ უპასუხა. **"3 მექანიზმი მაინც გვითხარით, თუმცა თქვენ, ამის გარდა, ყველაფრის შესახებ საუბრობთ,"** - მიმართავს ძაგნიძეს ვეფხვაძე.

"ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს პროექტის განხილვის შეჩერებისკენ მოუწოდა. ბაღათურიას თქმით, პროექტში მითითებულია, რომ მისი დამტკიცება საბიუჯეტო ხარჯებს არ იწვევს, რაც არასწორია.

დავით ბაქრაძემ ბაღათურიას განუმარტა: პროექტში რომ ეწეროს - დაარსდეს ქალაქი ლაზიკა, ეს ხარჯებს გამოიწვევდა. **"ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ლაზიკას სტატუსი ორგანული კანონით განისაზღვრება, არანაირ ხარჯს აღარ იწვევს. თუ კონკრეტული ხარჯები გაინტერესებთ, რიტორიკული შეკითხვების ნაცვლად, გირჩევთ, კონკრეტული კითხვით კონკრეტულ უწყებას მიმართოთ. მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, აუცილებლად მივაქცევ ყურადღებას, რომ კითხვა ადრესატს მიუვიდეს. ბატონო ჯონდი, რამდენჯერაც კითხვას ინტონაციურად დასვამთ, ეს სადეპუტატო შეკითხვა არ არის,"** - განუცხადა ბაღათურიას ბაქრაძემ. სპიკერის რჩევის შემდეგ ბაღათურიამ მთავრობას სადეპუტატო კითხვით სხდომაზევე მიმართა - რა ოდენობის თანხაა გათვალისწინებული ლაზიკასთვის წლევანდელ და მომავალი წლის ბიუჯეტში?

ერთკვირიანი გაუჩინარება და გაჩენილი შეკითხვები

მას შემდეგ, რაც გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომელი მამუკა ჯიბლაძე სასტუმრო ჰოლიდეი ინი -ს ფოიეში ვიდეოთვალმა დააფიქსირა და ამის შესახებ ინფორმაცია შსს-მ გაავრცელა, მეორე დღეს, ერთკვირიანი ძებნის შემდეგ, თავად გაუჩინარებული ჯიბლაძეც გამოჩნდა. ეს ცნობაც სამართალდამცველი სტრუქტურისგან გახდა ცნობილი.

მამუკა ჯიბლაძე, რომელიც მიმდინარე წლის 11 ივნისს სახლიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, დილით გამოჩნდა და ამ დროისთვის საკუთარ ბინაში იმყოფება, - ასეთი ოფიციალურ განცხადება გაავრცელა გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

შს სამინისტროს მტკიცებით, მამუკა ჯიბლაძე სახლში 18 ივნისს, დილით დაბრუნდა. როგორც საინფორმაცია სააგენტო "ინტერფესნიუსს" ჯიბლაძის დეიდამ მანანა ბუცხრიკიძემ განუცხადა, ჯიბლაძე ჯანმრთელად არის. როგორც გაირკვა, ოჯახის წევრებს მისთვის არ უკითხავთ, თუ სად იყო მამუკა ჯიბლაძე ბოლო დღეების განმავლობაში.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომელი მამუკა ჯიბლაძე 11 ივნისს, სახლიდან გავიდა და გაუჩინარდა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ დღეს იგი ეროვნული ცენტრის ყოფილ ხელმძღვანელს მაია მიმინოშვილს უნდა შეხვედროდა, მაგრამ მასთან არ მისულა. ოჯახის წევრებმა სამართალდამცველებს მიმართეს და პოლიციამ ჯიბლაძის ძებნა დაიწყო. ორი დღის წინ კი სამართალდამცველებმა განაცხადეს, რომ მამუკა ჯიბლაძე 17 ივნისს ვიდეოკამერებმა სასტუმრო "ჰოლიდეი ინის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააფიქსირეს.

ჯიბლაძის გაუჩინარებასთან და გამოჩენასთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა მარტივად გვიპასუხა: **შინაგან საქმეთა სამინისტრო სწავლობს ჯიბლაძის საქმეს და მოგვიანებით ყველა კითხვაზე გიპასუხებთ .**

საკუთარი ინფორმაცია

ნიკა რურუა: "ბაგრატის ტაძრის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ხელოვნურია"

ბაგრატის ტაძრის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა "ხელოვნურს" უწოდებს და აცხადებს, რომ ტაძრის რესტავრაცია აუცილებლად დასრულდება. მისივე თქმით, ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო გეგმა მსოფლიო დონის სპეციალისტებმა შეადგინეს.

"იუნესკოში შეხვედრა მაქვს ამ ატეხილი აყალმაყალის გამო, რომელიც სრულიად ხელოვნურია. აქ იყო დეზინფორმაციის სერიოზული ნაკადი, მავანთა და მავანთა მიერ ამ საუკეთესო ხარისხის თუ შინაარსის პროექტის მიმართ, რომელიც ბაგრატის რეკონსტრუქციას ეხება. ეს არის მსოფლიოში საუკეთესო სპეციალისტების მიერ მომზადებული ნამდვილად უნიკალური პროექტი, რომელიც განხორციელდება, დამთავრდება სულ მალე და ბაგრატი წარდგება მთელი საქართველოს წინაშე. ეს შეფერხება დროებითია და ყველა დაინტერესებული მხარე მთლიან ინფორმაციას გაიგებს," - განაცხადა საფრანგეთში ვიზიტისას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა რურუამ.

"ლეიბორისტები" კანონპროექტს აპროტესტებენ

"ლეიბორისტული პარტია" სააღსრულებლო ბიუროს უფლებამოსილების გაზრდის შესახებ კანონპროექტს აპროტესტებს. როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, "სააკაშვილისა და მისი ხროვის მძარცველურ ქმედებას საზღვარი აღარ აქვს".

"პრეზიდენტი არ სჯერდება მსოფლიოში უპრეცედენტო საბანკო პროცენტს და შემოაქვს მოსახლეობის დაყაჩაღების ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, სააღსრულებო ბიუროს უფლება ეძლევა, აუქციონზე ისე გაიტანოს და გაყიდოს მოქალაქის ქონება, რომ ამის შესახებ მეპატრონემ ვერც კი შეიტყოს. ამასთან, ქუჩაში დარჩენილ 300 000 ოჯახს დამატებით კიდევ სადავო თანხიდან 7 პროცენტი დაუქვითოს. აი, სინამდვილეში რას უმზადებს ხელისუფლება ჩვენს ხალხს, საპირისპიროდ სააკაშვილის წინასაარჩევნო გამოსვლებისა, სადაც მან თავისი ყურმოჭრილი მონა-ბანკირები ვითომცდა დატუქსა და შეშფოთება გამოთქვა ანტისაბანკო განწყობილებების მომძლავრების გამო," - აცხადებს შატბერაშვილი.

მისივე თქმით, პარტია მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, უსარგებლო მოღვაწეობის ბოლო თვეებში მაინც გამოიჩინონ ადამიანურობა და არ მიიღონ წარმოდგენილი კანონპროექტი.

"ფრთხილად იყავით, ხალხო, ვიღებთ ძალიან დიდ ჯგუფს ადამიანებისა, რომლებიც თქვენ მიერ არიან გაღატაკებულნი და განადგურების პირას მისულნი. ნუ გააკეთებთ იმას, რომ დამშეული, გაღატაკებული, განადგურებული ადამიანების მთელი კლასი მივიღოთ. არ შეიძლება, სხვისი უკიდურესი გაღატაკებით ვინმემ ფული გააკეთოს," - აცხადებს შატბერაშვილი.

"მემარჯვენეებს" მაჟორიტარობის კანდიდატები ყველა რაიონში ეყოლებათ

"ახალ მემარჯვენეებს" მაჟორიტარობის კანდიდატები საქართველოს ყველა რაიონში ეყოლებათ, - ამის შესახებ "მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

"რეგიონებში ჩატარებულმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ცნობადი სახეების თბილისიდან მივლინების პრაქტიკა არ ამართლებს და რაიონებს სჭირდებათ მაჟორიტარი, რომელიც იქ ტრიალებს, ძალიან კარგად იცის პრობლემები და შეუძლია, პარლამენტში საკუთარი რაიონის დასაცავად იბრძოლოს," - აღნიშნა ნაჭყებიამ.

"მემარჯვენეები" მაჟორიტარი კანდიდატების ვინაობას ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ.

ნაჭყებიამ ისიც აღნიშნა, რომ "ახალი მემარჯვენეები" საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებენ. "პარტიაში მიღებულია პრინციპული გადაწყვეტილება, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარება. ჩვენ, განსხვავებით სხვებისგან, მივიჩნევთ, რომ ამ არჩევნებზე შეიძლება ორი საკითხის ერთად გადაწყვეტა - არსებული ხელისუფლება უმცირესობაში წავიდეს და ამავდროულად, მრავალპარტიული პარლამენტი შეიქმნას," - აღნიშნა ნაჭყებიამ.

დიდი ოცეულის სამიტი მექსიკაში

ივა ჭილაკავა

მექსიკის საკურორტო ქალაქ ლოს-კაბოსში მიმდინარეობს "დიდი ოცეულის" სამიტი, რომელშიც მსოფლიოს 19 უდიდესი სახელმწიფოსა და ევროკავშირის ლიდერები, ასევე მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მონაწილეობენ. მთავარი განსახილველი თემა, ცხადია, იყო ევროპის, უფრო ზუსტად, ევროს ზონის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც უკვე სერიოზულ გავლენას ახდენს მსოფლიოს სხვა რეგიონებზეც. შესაბამისად, კრიზისთან სწრაფად გამკლავება ყველა სახელმწიფოს ინტერესებში შედის.

სამიტის მონაწილეებმა შეშფოთება გამოთქვეს ევროზონის სასესხო კრიზისთან ბრძოლაში შესამჩნევი პროგრესის არარსებობის გამო. მაგალითად, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა რობერტ ზელიკმა განაცხადა, რომ "ჩვენ ველოდებით, როდის გვეტყვის ევროპა, თუ რის გაკეთებას აპირებს." ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სამიტის დანარჩენი მონაწილეები გააფრთხილა, რომ ევროზონის კრიზისი საშიში ტენდენციის გავრცელების წყარო ხდება. მისი სიტყვებით, გაურკვევლობის ატმოსფერო პროტექციონიზმის ზრდას უწყობს ხელს, ეს კი, თავისი მხრივ, თავისუფალ ვაჭრობას უქმნის საფრთხეს. კანადის პრემიერ-მინისტრმა სტივენ ჰარპერმა სასესხო კრიზისთან გასამკლავებლად ევროზონის ქვეყნების ლიდერებს სტრუქტურული რეფორმების გატარებისაკენ მოუწოდა.

ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ ამ პრეტენზიებს საკმაოდ მკვეთრი ტონით და სიტყვებით უპასუხა. "გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ აქ იმისთვის არ ჩამოვსულვათ, რომ მოვისმინოთ დარიგებები დემოკრატიის ან ეკონომიკის თემაზე." ჟურნალისტებთან საუბრისას კი მან დასძინა, რომ ის "დიდი ოცეულის" სახელმწიფოთა ლიდერებისგან ელოდება ევროკავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯების მოწონებას.

ძალიან ბევრი, მათ შორის, გაკვირვებული კომენტარი გამოიწვია რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადებამ, რომელშიც მან პროტექციონიზმს დაუჭირა მხარი. "დროა მივიდეთ პატიოსან შეთანხმებამდე, რომელიც განსაზღვრავს ისეთი პროტექციონისტული ზომების დასაშვებ დონეს, რაზეც შეიძლება წავიდნენ მთავრობები გლობალური კრიზისის დროს სამუშაო ადგილების დასაცავად." მისი სიტყვებით, ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რუსეთისთვის, რადგან წელს ქვეყანა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ხდება.

ამ განცხადებამ ალბათ ბევრი სახელმწიფოს ხელმძღვანელი და ეკონომიკური ექსპერტი ჩააგდო შოკში. მიმომხილველების აზრით, ეს სიტყვები ერეტიკულად ჟღერს იმ ფორუმისთვის, რომელიც მუდმივად აცხადებს, რომ ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად თავისუფალი ვაჭრობა. ლოს კაბოსში მიმდინარე სამიტზე აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც ისაუბრა პროტექციონიზმის დაუშვებლობაზე.

ევროზონის კრიზისი არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც სამიტის მონაწილეებს აღელვებთ. სერიოზული პრობლემები აქვს მსოფლიოს ორი უდიდესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს - აშშ-სა და ჩინეთს, შემცირებულია ეკონომიკური ზრდა ინდოეთშიც.

დღეს დილას უკვე ცნობილი იქნება "დიდი ოცეულის" სამიტის შემაჯამებელი განცხადების ტექსტი, რომელშიც, სავარაუდოდ, იქნება მოწოდება გლობალური გეგმის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

დიდი ოცეულის სამიტის ჩარჩოებში, ცხადია, ბევრი ორმხრივი შეხვედრაც გაიმართა. პირველ დღეს გამართული მოლაპარაკებებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ობამა პუტინისა და პუტინი-იოსიხიკო ნოდას (იაპონიის პრემიერ-მინისტრი) შეხვედრები. ამ მეორე შეხვედრას, ფაქტობრივად, გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და მხარეებმა რთულ პრობლემებზე საუბარს თავი აარიდეს. იმსჯელეს სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, აღნიშნეს ამ კავშირების გაღრმავების აუცილებლობა და დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ორმხრივი დიალოგის გაგრძელებას. ორ სახელმწოფოს შორის არსებულ მთავარ პრობლემას, კურილიის კუძულების თემას მხარეები ან საერთოდ არ შეხებიან ამჯერად, ან ჟურნალისტებთან გამოსვლის შემდეგ დიპლომატიურად აარიდეს თავი მის ხსენებას. თან ეს იმდენად კარგად გამოუვიდათ, რომ განსაკუთრებული ეჭვები არ გაჩენილა.

აბსოლუტურად განსხვავებული შთაბეჭდილება შეიქმნა აშშ-სა და რუსეთის ხელმძღვანელების შეხვედრის შემდეგ. მხარეებმა ისაუბრეს ყველა საჭირბოროტო თემაზე: რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, სირიის კრიზისი, ავღანეთის და პაკისტანის საკითხი და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, ჯეკსონ-ვენიკის შესწორების გაუქმება და "მაგნიტსკის სიის" მტკივნეული საკითხი. როგორც ჩანს, პრეზიდენტები ორსაათიანი პირისპირ საუბრის დროს რეალურად ვერაფერზე შეთანხმდნენ. პრესკონფერენციაზე იყვნენ ხაზგასმით დიპლომატიურები და ლაკონურები. ობამას და პუტინს ერთმანეთისკენ, ფაქტობრივად, არც გაუხედავთ და არც არაფორმალურ საუბარს ჰქონია ადგილი ჟურნალისტების თანდასწრებით. ეს თვალშისაცემი იყო როგორც დასავლელი, ასევე რუსი მიმომხილველებისთვის. სავარაუდოდ, ამ შეხვედრის დადებითი თუ უარყოფითი შედეგები ნელ-ნელა გახდება ცნობილი მხარეების მიერ გადადგმული ნაბიჯების მიხედვით. ჩვენც მათ ისევ დავუბრუნდებით, თუნდ სხვა საინტერესო, ორმხრივი შეხვედრების მიმოხილვასთან ერთად.

ბიზნესი

"ევროპამ უკან დაიხია და ასპარეზი სხვა მოთამაშეებს დაუთმო"

პირველი გვერდიდან

ევროპის კრიზისი, პირველ რიგში, რუსეთს გაუხსნის დიდ შესაძლებლობებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა ეკონომიკურად დაზარალდება, რადგან ევროკავშირი მისი ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი და ნავთობისა და გაზის მომხმარებელია.

მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთისთვის ბევრი შესაძლებლობები გაჩნდება. უკრაინა, მოლდავეთი და ბელორუსია დასავლეთის მიმართ ნდობას დაკარგავენ და მათთვის "მზე აღმოსავლეთიდან ამოვა».

ასევე, რუსეთისკენ უფრო მეტად დაიწყებს ყურებას სერბეთი და ნებისმიერ შემთხვევაში, ნაკლებად დაინტერესდება, თუ რას იტყვის მასზე დასავლეთი. უფრო მეტიც, გაძლიერდება რუსეთის კომერციული და, გარკვეულწილად, პოლიტიკური გავლენა ისეთ ქვეყნებზე, როგორებიც არის რუმინეთი და ბულგარეთი (რომ აღარაფერი ვთქვათ კვიპროსსა და საბერძნეთზე). აღმოსავლეთ ევროპა, კრიზისის დაძლევის შემთხვევაში, დასავლეთზე ნაკლებად იქნება მიწებებული.

გარდა ამისა, ევროს კრიზისი გაძლიერებს თურქეთის გადაწყვეტილებას - ევროპის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მცდელობა შეწყვიტოს და დამოუკიდებელი მოთამაშე გახდეს. თურქეთმა, ევროკავშირის ნაცვლად, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ადგილი არაბულ სამყაროში მოიპოვოს.

ევროპის ვალის კრიზისით ნატო-ც დაზარალდება - ევროკავშირის მასშტაბით მიმდინარე ეკონომიკური რეცესია და სოციალური ხარჯების შენარჩუნება ქვეყნებს თავდაცვის ბიუჯეტების შემცირებისკენ უბიძგებს.

"მსოფლიო არენაზე ევროპის გავლენა დასუსტდება. მთელ მსოფლიოში, პოსტ-კოლონიური საზოგადოებები "კმაყოფილნი" არიან იმითი, რომ მათ ყოფილ პატრონებს ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ. აზიელები ევროპას უკვე ისე უყურებენ, როგორც დიდ იტალიას - მიმზიდველი ადგილს, შესანიშნავი არქიტექტურით, ცნობილი კულტურული ძეგლებით, გემრიელი კერძებით და ზოგიერთი არაჩვეულებრივი სამომხმარებლო ბრენდით, მაგრამ მას დღეს აღარვინ მიიჩნევს მსოფლიო პოლიტიკის სერიოზულ მოთამაშედ," - ასეთი მომავალი უწინასწარმეტყველა ევროპას უოლტერ რასელ მიდმა.

"ადრე ამერიკელებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ევროკავშირი შეძლებდა რეგიონის გაკონტროლებას, მხარს დაუჭერდა მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას ბალკანეთში, ასევე ისეთ ახლომდებარე ქვეყნებში, როგორიც არის ბელორუსი, უკრაინა და თუნდაც რუსეთი და მათ დასავლეთთან დააახლოვებდა. ახლა ჩვენ უნდა მივეჩვიოთ ისეთ მსოფლიოს, სადაც ევროპამ უკან დაიხია და ასპარეზი სხვა მოთამაშეებს დაუთმო," - ამბობს ექსპერტი.

რუსეთის ინტერესები სირიაში

ხათუნა გაბიევი

"ცეზარ კუნიკოვი"

სირიაში გასამგზავრებლად მზადყოფნაშია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდები და ავიაციაც. სირიაში შეწყვეტილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისია, პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის პირისპირ დარჩენილია მოსახლეობა, რის გამოც ოპოზიცია შეშფოთებას გამოთქვამს.

რუსული ხომალდი "ალაიდი", რომლის ბორტზეც "მი 25"-ის კლასის ვერტმფრენებია განთავსებული, სირიაში აღარ ჩავა. ამის შესახებ განცხადება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა გააკეთა. ბრიტანულმა სადაზღვევო კომპანია "სტანდარდ ქლაბმა" "ალაიდის" კონტრაქტი გააუქმა სხვა ხომალდებთან ერთად, რომლებიც რუსული კომპანია "ფემკოს" საკუთრებაში ირიცხებიან. **"ჩვენ გვაქვს ინფორმაცია გარემონტებული მოიერიშე ვერტმფრენების პარტიის შესახებ, რომელიც რუსულ მხარეს სირიაში გადაჰქონდა. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო პარტნიორებთან და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ სირიის მმართველი რეჟიმის შეიარაღება არ გაძლიერდეს, რადგან ეს რეჟიმი მშვიდობიან მოსახლეობას სასტიკი ფორმებით უსწორდება,"** - ნათქვამია საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ყველაფერთან ერთად, ბრიტანეთის სამეფო ფლოტის ხომალდებიც არ აცილებენ უკან, კალინინგრადისკენ მიმავალ ტვირთმზიდს. დაზღვევა რუსულ ხომალდს მაშინ გაუუქმდა, როდესაც მან კალინინგრადის პორტი დატოვა და შოტლანდიის ჩრდილოეთ სანაპიროსთან 80 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდა. კონტრაქტის გაუქმების შემდეგ კი "ალაიდს" გზის გაგრძელება დანიშნულების მისამართზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, თუ ახალ სადაზღვევო კონტრაქტს გააფორმებს, რისთვისაც დასჭირდება სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ბრიტანული მხარისთვის ხომალდის ბორტზე არსებული ტვირთის შესახებ. გამოცემა "დეილი ტელეგრაფის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საეჭვო ტვირთის თაობაზე სადაზღვევო კომპანიას ცნობა სადაზვერვო სამსახურებმა მიაწოდეს. რუსული ანდაზისა არ იყოს ნდობა-გადამოწმების შესახებ, ამერიკულმა მხარემ სირიის კონფლიქტში იარაღით ჩაურევლობის შესახებ ცნობების გადამოწმებასა და რუსული ძალისთვის ხელის შეშლაში დიდ ბრიტანეთს, თანაც სადაზღვევო კომპანიას სთხოვა დახმარება, რომელიც კონტრაქტის შუამავალია. რუსული სატვირთო ხომალდი "ალაიდი", ამერიკელების ინფორმაციით, კალინინგრადიდან რამდენიმე დღის წინ გავიდა სამხედრო ტვირთით გემბანზე.

სირიის მიმართულებით რუსული ხომალდების გამგზავრების გეგმებზე ინფორმაცია სამი დღის წინ, გვიან საღამოს გავრცელდა, მაგრამ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წყაროზე დაყრდნობით, "იტარ-ტასის" მიერ გავრცელებული ცნობები დაუყოვნებლივ უარყვეს სამხედრო უწყებაში. იმავე თემაზე ცნობები ამერიკულმა ტელეარხებმა "სი-ენ-ენ"-მა და "ენ-ბი-სი"-მაც გაავრცელა, რომლის კომენტარისგან თეთრ სახლში თავი შეიკავეს და მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ დაზვერვის მიერ მიწოდებულ სანდო ცნობებს დაეყრდნობოდნენ. ორი დღის წინ კი მედიაში გაჩნდა ცნობები იმის შესახებაც, რომ საზღვაო ხომალდების გამგზავრების შემთხვევაში მათ უსაფრთხოებას ციდან რუსული ავიაციაც დაიცავდა. ერთი სიტყვით, სირიისთვის იარაღის მიწოდების შესახებ ბრალდებებით დიპლომატიურ ფრონტზე დაწყებული სკანდალის გავრცობა უკვე მედიაში მოხდა. სირიის პორტ ტარტუსისკენ გასამგზავრებლად ემზადებიან დიდი მოცულობის სადესანტო ხომალდები "ნიკოლაი ფილჩენკოვი" და "ცეზარ კუნიკოვი". სწორედ, პორტ ტარტუსშია რუსეთის ფლოტის ნაწილი, თანაც 1971 წლიდან მოყოლებული. როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, სადესანტო ჯგუფების სირიაში გაგზავნის მიზანი საჭიროების შემთხვევაში რუსული ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოება და სირიაში მყოფი რუსეთის მოქალაქეების დროული ევაკუაციაა. ჯერჯერობით უცნობია ავიაციის თანხლებით ხომალდების გამგზავრების თარიღი, "ცეზარ კუნიკოვი" სევასტოპოლში იტალიური პორტიდან ორი დღის წინ დაბრუნდა, მაგრამ როგორც მედია რუსეთის სამხედრო წრეებში ანონიმ წყაროზე დაყრდნობით აღნიშნავს, გამგზავრების ზუსტი თარიღი სირიაში მოვლენების განვითარებასთან იქნება დაკავშირებული.

მართალია, ტარტუსის პორტში ოფიციალურად რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პუნქტად ითვლება, მაგრამ მას განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს, მით უფრო ვიეტნამში, ყოფილ იუგოსლავიაში, ლიბიასა და კუბაზე ბაზების დაკარგვის შემდგომ. ტარტუსის ბაზა რუსეთს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ატლანტიკის ოკეანეში, აფრიკის ნაპირებსა და სპარსეთის ყურეში სამხედრო ხომალდების უზრუნველყოფისთვის სჭირდება. ტარტუსი სუეცის არხთან ახლოს მდებარეობს, ლიბანს კი სულ რაღაც 25 კილომეტრი აშორებს. **"რუსი სამხედროების ყოფნა ტარტუსსა და სირიის სანაპიროებთან აუცილებელია. ტარტუსის ბაზა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. მიზანშეწონილი იქნებოდა ამავე არეალში ჩინეთის, ინდოეთის, ირანისა და სირიის კონფლიქტის გადაჭრით სხვა დაინტერესებული მხარის სამხედრო ხომალდების ყოფნაც. ასეთ შემთხვევაში ისინი ნატო-ს ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან რეგიონში შესაძლო არასანქცირებული სამხედრო მოქმედებების საპირწონედ იქცეოდნენ,"** - განაცხადა "ნეზავისიმაია გაზეტასთან" საუბარში გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ლეონიდ ივაშოვმა.

ტარტუსის ბაზის მნიშვნელობაზე სამხედრო ექსპერტმა ვლადიმირ პოპოვმაც ისაუბრა. **"ჩვენ სამხედრო-საზღვაო ბაზა დავტოვეთ კამრანში (ვიეტნამი), სადაც უკვე იჭრებიან ამერიკელები. ასევე დავტოვეთ კუბა, სამხედრო ობიექტები ბალკანეთში, კერძოდ, სამხედრო აეროდრომი პრიშტინაში (ყოფილი იუგოსლავია). სათანადო მხარდაჭერა ვერ აღმოვუჩინეთ მუამარ კადაფის ლიბიაში და ფაქტობრივად ხელიდან გავუშვით ტრიპოლიში სამხედრო ბაზის ქონის შანსი, როგორც ეს ადრე იგეგმებოდა,"** - განაცხადა ვლადიმირ პოპოვმა.

დასავლეთი რუსეთის მოქმედებებსა და გეგმებს თვალს ყურადღებით ადევნებს. როგორც დიპლომატიური წრეებიდან ანონიმურმა წყარომ "მოსკოვსკი ნოვოსტის" განუცხადა, დასავლელი პარტნიორები ცდილობენ, რუსეთი ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებიდან ჩამოცილების გეგმაზე დაიყოლიონ, თუნდაც რუსული ხომალდებით სირიიდან მისი უსაფრთხოდ გამოყვანის ხარჯზე, რასაც რუსული მხარე უარყოფს.

მანამდე კი, ვიდრე რუსეთი სამხედრო ხომალდების გამგზავრების მზადყოფნაზე თუნდაც არაოფიციალურად საუბრობს, გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ ტარტუსში მაისში ხომალდი "პროფესორი კაცმანი" შევიდა, საიდანაც იარაღი გადმოიტვირთა. ეს ცნობები ოფიციალურმა მოსკოვმა, ჰილარი კლინტონის მხრიდან წამოსული ბრალდებებისგან განსხვავებით, ამ დრომდე უპასუხოდ დატოვა. რუსული ანდაზისა არ იყოს ნდობა-გადამოწმების შესახებ, ამერიკულმა მხარემ რუსული ძალისთვის ხელის შეშლაში დახმარება ამჯერად უკვე დიდ ბრიტანეთს სთხოვა. როგორც "ტელეგრაფი" წერს, რუსების მიერ დაქირავებული სატვირთო ხომალდი "ალაიდი", ამერიკელების ინფორმაციით, კალინინგრადიდან რამდენიმე დღის წინ გავიდა სამხედრო ტვირთით გემბანზე და მალე უკვე ჩრდილოეთის ზღვაში იქნება. სახიფათო ტვირთის დანიშნულების ადგილზე ჩასვლაში ხელის შესაშლელად დახმარების თხოვნით ამერიკულმა მხარემ ბრიტანულ სადაზღვევო კომპანიას მიმართა, რომელიც კონტრაქტის შუამავალია.

სირიაში კი ამ დროს სისხლიანი რეჟიმისა და შეიარაღებული ამბოხებულების პირისპირ დარჩა მშვიდობიანი მოსახლეობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებელთა მისიამ სამი დღის წინ ჯერ გადაადგილება შეზღუდა გამწვავებული ვითარების გამო, შემდეგ კი მუშაობა დროებით საერთოდ შეაჩერა. დამკვირვებელთა მისიის თუნდაც დროებით შეწყვეტით უკმაყოფილება და შეშფოთება უკვე გამოთქვა სირიის ოპოზიციამ, რომელიც ამ ნაბიჯს უსამართლოს უწოდებს. სირიის რამდენიმე ქალაქში კი გააფთრებული ბრძოლები ამ დრომდე არ წყდება, განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა, ჰაფას შემდეგ, უკვე ჰომსშია, სადაც მესამე დღეა საარტილერიო ცეცხლის ხმა არ წყდება. მხოლოდ ბოლო სამი დღის განმავლობაში სირიაში ძალადობას 200-მდე ადამიანი შეეწირა, ათასობით ოჯახს უწყვეტი ცეცხლის გამო კი ქალაქის დატოვებაც არ შეუძლია. სირიაში გამწვავებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ნიუ-იორკში ამ დღეებში სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი რობერტ მუდი წარუდგენს.

ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ ᲛᲔᲚᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ...

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა უჩვეულო სერიის "ილუსტრირებული ბიოგრაფიების" გამოცემას "ბითლზის" და "ფინქ ფლოიდის" ალბომებით იწყებს, რომელიც მოიაზრებს, მსოფლიო მუსიკის ლეგენდების შესახებ არა მხოლოდ ტექსტის, ფოტოების დახმარებითაც მოგვითხროს. ტექსტიც და ფოტოც ჯგუფის ცხოვრების ქრონოლოგიას მიჰყვება და იმ იშვიათ ამბებს გვახსენებს, რომელსაც ინტერნეტში ვერ ნახავთ.

ბრიტანულმა გამომცემლობამ "ატლანტიკ პრესმა", რომლისგანაც "სულაკაურის გამომცემლობამ" ბეჭდვის უფლება მოიპოვა, ილუსტრირებული ბიოგრაფიების სერია სწორად გათვალა, რადგან ამგვარი წიგნები არათუ საჩუქარი, ბიბლიაა მელომანებისათვის, ვისთვისაც მუსიკა ცხოვრებაში ყველაფერზე მეტად მნიშვნელოვანია, რადგან თვლიან, რომ ეს ისეთივე სტიქიური ენერგიაა, როგორც ცეცხლი და წყალი. ხოლო როცა პირველი მოსმენისთანავე ხვდები, რომ ეს ოთხი ლივერპულელი ბიჭი სწორედ შენთვის და შენი თაობისთვის მღეროდა და "ფინქ ფლოიდის" ფსიქოდელიური მუსიკა შენს სისხლშიც პულსირებს, მელომანობა არ არის საჭირო, უბრალოდ, ხელოვნების ძალას გრძნობ.

"ილუსტრირებული ბიოგრაფიების" სერიით, "ბითლზის" და "ფინქ ფლოიდის" გარდა, ბრიტანეთში უკვე გამოცემულია სხვადასხვა ჯგუფებისა და შემსრულებლების ალბომები: "როლინგ სტოუნზის", ელტონ ჯონის, ბობ დილანის, "ლედ ზეპელინის", მადონას... სერიის ისტორია სულ ორ წელიწადს ითვლის და გრძელდება. როგორც სერიის ქართული ვერსიების რედაქტორმა და "პინკ ფლოიდის" მთარგმნელმა ნინო გოგალაძემ გვითხრა, მართალია, საქართველოში სპეციალური გამოკითხვა არ ჩაუტარებიათ, მაგრამ პირველი წიგნების შერჩევისას მსოფლიო ტენდენცია გაითვალისწინეს. თუმცა კი, საქართველოშიც უამრავი, სხვადასხვა თაობის ბითლომანია, არსებობს ასევე ოფიციალური ქართული საიტები "ფინკ ფლოიდის" და "ბითლზის".

ნინო გოგალაძე: "მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან ვარ "ფინქ ფლოიდის" მოყვარული, თარგმნისას ბევრი ახალი რაღაც გავიგე. ტექსტები ჯგუფის წევრების ინტერვიუებზე დაყრდნობითაა შექმნილი და გამიზნულად დაწერილია მოკლედ, პოპულარული ენით, ისეთი, როგორიც უნდა იყოს ალბომში. მოთხრობილია ისტორიები ჯგუფების ჩამოყალიბებიდან დაშლამდე. ამ წიგნების მიზანია, მკითხველის თვალწინ გააცოცხლოს ლეგენდარული ჯგუფების მოღვაწეობა, ეპოქა, კონცერტები თუ მოგზაურობა და ზუსტი აქცენტებით მიანიშნოს, რის გამოა ეს მუსიკა ფასეული, როგორ იქცნენ უბრალო ბიჭები ლეგენდებად. ალბომებს დართული აქვს დისკოგრაფია და ქრონოლოგია."

"ფინქ ფლოიდის" ალბომი ჯგუფის პირველი ოთხეულის უძველესი ფოტოსურათით იხსნება. 1960-იანი წლების ფოტოზე ერთად არიან როჯერ უოტერსი, ნიკ მეისონი, სიდ ბარეტი და რიჩარდ რაიტი. ეს ის დროა, როცა ბენდს ჯერ "ლეონარდის მდგმურები" ერქვა, შემდეგ - "სპექტრუმ 5", შემდეგ - "ჩაის სერვიზი". ამგვარი ძიებების შემდეგ სიდ ბარეტმა მოულოდნელად მოიფიქრა ახალი სახელი - "ფინქ ფლოიდ". მან თავისი უსაყვარლესი მუსიკოსების - ფინქ ანდერსონისა და ფლოიდ კონსილის სახელები შეაერთა. ფოტოებზე დეტალურადაა ასახული კონცერტები. აქ ნახავთ 1966 წლის 15 ოქტომბრის პირველ შოუს და 1966 წლის ნოემბრის ფსიქოდელიურ კონცერტს ჰორნსის ხელოვნების კოლეჯის სცენაზე. კონცერტზე განათების ეფექტების გამოყენების იდეა ჯგუფს ძველმა წევრმა მაიკ ლეონარდმა მიაწოდა, რომელიც სინათლისა და ხმის სისტემის განვითარებაზე მუშაობდა ჰორნში. სისტემა სინათლის ეფექტების გაკონტროლებას გულისხმობდა ხმის მიხედვით და თავდაპირველად ჩაწერილ, შემდეგ კი ცოცხლად შესრულებულ მუსიკაშიც გამოიყენებოდა. ფერადი და მოძრავი მანათობელი ეფექტებით გაფორმებული სასცენო შოუ მალე "ფინქ ფლოიდის" სავიზიტო ბარათად იქცა.

200-გვერდიან ალბომში ფოტოებს ორი მესამედი უკავია, რომლებიც გადაღებულია კონცერტებზე, რეპეტიციისას, ხმის ჩამწერ სტუდიებში, აქ არის პროექცირებული გამოსახულებები, ყოველდღიური სცენები, ტურნეები. და კიდევ ფოტოგრაფ ენდრიუ ვიტაკის ცნობილი ფსიქოდელიური ფოტოსესია. ენდრიუ ვიტაკმა სტუდიაში "ფინქ ფლოიდის" შოუს მსგავსი განათება მოაწყო და ჯგუფის წევრებს მომაჯადოებელი ფოტოები გადაუღო.

LSD-თი გატაცების გამო სიდ ბარეტის ჯგუფიდან წასვლის შემდეგ ფოტოებზე დევიდ გელმორი ჩნდება. ამ ნაწილს ალბომში ახალი სახელი "დედა ატომის გულით" ჰქვია და შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ახალ შემადგენლობას 1970 წლის ნომერ პირველი ჰიტიდან 2005 წლის "ლაივ 8"-მდე, როცა დევიდ გილმორი, როჯერ უოტერსი, ნიკ მეისონი და რიჩარდ რაიტი 24-წლიანი შუალედის შემდეგ ლონდონში კვლავ შეიკრიბნენ. ეს საქველმოქმედო კონცერტი იყო "დიდი რვიანის სამიტის" წინ, რომელიც შოტლანდიაში იმართებოდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში "ლაივ 8"-ის ანალოგიური ცხრა კონცერტი ჩატარდა, რომლის მიზანიც იყო, შეკრებილ პუბლიკას საკუთარი სახელები ჩამოეწერა და "დიდი რვიანის" ლიდერებისთვის გადაეცათ მესამე სამყაროს ქვეყნებში არსებული სიღატაკისა და შიდსთან ბრძოლის მოთხოვნით. ნიკ მეისონი ამბობდა, ამ თუ არა, სხვა რომელიმე საქველმოქმედო კონცერტზე მაინც შევიკრიბებოდითო, მაგრამ ფაქტია, პირველი ნაბიჯი როჯერ უოტერსმა გადადგა და დევიდ გილმორს დაურეკა. კრიტიკოსები თუ თაყვანისმცემლები ამბობდნენ, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო კონცერტი იყო ჯგუფის ისტორიაში. ახალგაზრდა მელომანები კი, პირველად რომ მოისმინეს ჯგუფის გამოსვლა, "ფინქ ფლოიდის" თაყვანისმცემელთა რიგებს შეუერთდნენ. ჯგუფი სცენაზე მათსავე სიმბოლომ - გულისცემის ხმამ და დიდ ეკრანზე გამოსახულმა კარდიოგრაფიულმა გამოსახულებამ წარადგინა. თაყვანისმცემლები ფიქრობდნენ, რომ ამ კონცერტის შემდეგ "ფინქ ფლოიდი" კვლავ ერთად განაგრძობდა დაკვრას", მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

"ილუსტრირებული ბიოგრაფიების" სერიის მეორე ალბომი - "ბითლზი", შეიძლება ითქვას, იმ სიურპრიზის გაგრძელებაა, რომელსაც ქართველი გამომცემლობები ბითლომანებს სთავაზობენ. გასულ წელს, სერიით "ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო", გამოვიდა "ბითლზის" ბიოგრაფის ჰანტერ დევისის ცნობილი ნაშრომი, რომელიც შეიცავს ჯგუფის წევრთა ინტერვიუებსა და საერთოდ ყველაფერს ამ ჯგუფის შესახებ. წიგნი პირველად 1968 წელს გამოვიდა, 90-იანებში კი მწერალმა იგი ხელახლა გადაამუშავა. რასაკვირველია, ყველაფრის ნახვა და წაკითხვა ინტერნეტშიც შეგვიძლია, მაგრამ წიგნებს სულ სხვა დატვირთვა აქვს მელომანისათვის, ისევე როგორც დისკებს და ფოტოებს.

ფოტოები კი, შეიძლება ითქვას, ამ ლეგენდარულ ოთხეულს მართლაც რომ გამორჩეული აქვთ, ეს ხომ ის ადამიანები არიან, რომლებმაც სცენაზეც და ცხოვრებაში უშუალო და თავისუფალი ქცევის სტილი დაამკვიდრეს. ამიტომ ეს ხალისიანი ფოტოები, როგორც დამოუკიდებელი ნამუშევრები, თავისთავად ფასეულობას წარმოადგენს ფოტოხელოვნების ისტორიისათვის.

წინამდებარე ალბომი, როგორც სარჩევი, გვამცნობს ჯგუფის გრძელი და მიხვეულ-მოხვეული გზის შესახებ, თუმცა კი, დროის თვალსაზრისით ეს გზა სულ რამდენიმე წელს მოიცავს - 1962 წლიდან, ვიდრე მათ დაშლამდე, რადგან სერია "ილუსტრირებული ბიოგრაფიები" ცალკე ალბომად გვთავაზობს "ჯონ ლენონს".

როგორც მსოფლიო ლიტერატურის პროცესებს ვეხმიანებით და გვინდა, მათი თარგმანები ქართულ ენაზეც გამოვცეთ, ასევეა ეს ალბომები მსოფლიო ხელოვნების ისტორიისათვის. ვფიქრობთ, ამგვარი წიგნები აქტუალურია ქართულ სივრცეში, რადგან, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოში მუსიკალური გემოვნება დაბალია. ამგვარი პროექტების დანიშნულება ისიც არის, დააფიქროს მკითხველი და მათი გემოვნება უკეთესისკენ შეცვალოს. აქსიომაა - როცა წარსული იცი, აწმყო უკეთესი გამოგდის," - ამბობს სერიის რედაქტორი ნინო გოგალაძე.

ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘ „ᲡᲐᲑᲐᲡ" ᲐᲗᲘ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ორი დღის წინ თიბისი ბანკმა "საბას" ოფიციალური და საბოლოო შორტლისტი გამოაქვეყნა, რომელშიც 42 ფინალისტის სახელი იკითხება.

როგორც ყოველთვის, "საბას" წელსაც აქვს ნომინაცია, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და ყველაზე დაძაბული ჯახი სწორედ აქაა მოსალოდნელი. ეს გახლავთ საუკეთესო თარგმანის ნომინაცია, სადაც ურთიერთობის გარკვევას რვა ნაწარმოების მთარგმნელები შეეცდებიან: მაია ბადრიძე (რობერტ მუზილის "უთვისებო კაცი", წიგნი II), ლევან ბერძენიშვილი (არისტოფანეს "კომედიები", ტომი IV), ნათელა გავაშელი (ჩესლავ მილოშის "ისას დაბლობი"), ქეთი ქანთარია (ჰენრი დევიდ თოროს "უოლდენი ანუ ტყეში ცხოვრება"), ბელა შალვაშვილი (ფირდოუსის "შაჰნამე"), გივი შახნაზარი (ნაჰაპეტ ქუჩაკის "ას ერთი ჰაირენი"), ხათუნა ცხადაძე (უმბერტო ეკოს "ვარდის სახელი") და დავით წერედიანი (იოჰან ვოლფგანგ გოეთეს "ფაუსტი"). როგორც ვარაუდობენ, ნომინაციის გამოკვეთილი ფავორიტები სწორედ ეს ორი უკანასკნელია - ხათუნა ცხადაძისეულ ეკოს ქართულ ტექსტს წერედიანის ნამუშევართან დაწყვილებულს ყველაზე ხშირად ახსენებენ, რაც მათ შანსს, მიიღონ "საბა", 50/50-ზე ანაწილებს. ხათუნა ცხადაძეს "ვარდის სახელისთვის" უკვე აქვს ერთი ჯილდო, ის თბილისის საკრებულოს ლიტერატურულ კონკურს "გალას" გამარჯვებულია, თუმცა ვისაც მისი თარგმანი წაუკითხავს, "საბას" გადაცემაზეც ალბათ სიხარულით მოაწერს ხელს.

თარგმანის მსგავსად ხალხმრავალია საუკეთესო დებიუტის ნომინაციაც. სწორედ აქ შეეცდება ჯილდოს მიღებას ორჰან ფამუქის "უმანკოების მუზეუმის" მთარგმნელი ეკატერინე ახვლედიანი (სიმართლე ითქვას, ასეთი მოცულობის ნაკლებად საინტერესო ნაწარმოების თარგმნისთვის ახვლედიანი მართლაც დასაფასებელია). ასევე დებიუტანტები არიან პოეტი სალომე ბენიძე კრებულით "მოხსენებითი ბარათი", ნინო გუგეშაშვილი და მისი მოთხრობები "ფეისკონტროლი", ძალიან კარგი ახალგაზრდა ავტორი ჯაბა ზარქუა კრებულ "ვარმშტადური პარადოქსით" (ჯაბამ წელს რომანის გამოცემაც მოასწრო), მოთხრობების კრებულ "ხელით ნაქსოვი თოჯინების" ავტორი უჩა ზაქაშვილი, სანდრო ნავერიანი "არგენტინული პიტბულით", გიორგი ოქროპირიძე და მისი ლექსები, ამ უკანასკნელის "კოლეგა" სალომე სულაბერიძე კრებულით "ჰამალ" და ეკატერინე ტოგონიძე საკმაოდ დასამახსოვრებელი დებიუტით "ანესთეზია" (კრებულში შესულ მოთხრობას "სხვა გზა" ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის "15 საუკეთესო ქართული მოთხრობის" კონკურსის მესამე პრემია ერგო).

ნახსენები "15 საუკეთესოს" პირველადგილოსანი მოთხრობა "სამანტას შეუსაბამო პოზის" ავტორი ზურაბ ლეჟავა საუკეთესო პროზაული კრებულის ნომინაციის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა. მისი "სინაღდე სიყალბისას" კონკურენტები კი შემდეგი ავტორები არიან: ზვიად კვარაცხელია ("ყიფლიბანდი"), მიხო მოსულიშვილი ("მადლის ქვა"), ცირა ყურაშვილი ("ხიზნები კომანის მონასტერთან") და "საბას" ლაურეატები და მრავალგზის ნომინანტები ბესო ხვედელიძე კრებულით "წითელი" და დავით ქართველიშვილი "6 სიზმრით". პოეტური კრებულის ნომინაცია წელს საკმაოდ მეჩხერია - აქ მხოლოდ ხუთი ნომინანტია: ცირა ბარბაქაძე ("უცხოქალაქი"), ელგუჯა მარღია ("ნაბადი"), პაატა შამუგია ("დაუჯდომელი"), ვაჟა ხორნაული ("სიტყვები - სიყვარულის თვალები") და კატო ჯავახიშვილი კრებულით "ჭუპრი" (კატო ჯავახიშვილი და პაატა შამუგია შარშანდელი "საბას" ნომინანტებიც იყვნენ).

წელს აკა მორჩილაძე დაბრუნდა (მისი სახელი "საბას" შორტლისტში მხოლოდ შარშან არ იკითხებოდა), ამჯერად ლონდონში შექმნილი რომანით Obole, რომელსაც ზაზა ბურჭულაძის "გასაბერი ანგელოზი", ირაკლი სამსონაძის "ლეას-საათი" და ზურაბ ქარუმიძის "მელია ტულეფია: Foxtrot" დაუპირისპირდება. საუკეთესო პიესის ნომინაციამ კი ამ ჟანრში მუშაობით ნაკლებად ცნობილი გურამ მეგრელიშვილი "ისესხა", რომლის პიესაც "ნაღალატევ ქმართა პირველადი დახმარებისა და მოღალატე ცოლთა რეაბილიტაციის ცენტრი" გურამ ბათიაშვილის "მოქმედი პირნი და შემსრულებელნისა" და ლაშა ბუღაძის "ნავიგატორის" კონკურენტი იქნება.

აქვე გაგაცნობთ წლის საუკეთესო ესეისტიკისა და დოკუმენტური პროზის კატეგორიის ნომინანტებს: რევაზ გაჩეჩილაძე "ჩემი მეოცე საუკუნე", ნოდარ გრიგალაშვილი "თანმდევი სული", გიორგი მაისურაძე "ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები" და დათო ქარდავა "ტუალეტში საკითხავი". ლიტერატურული კრიტიკის ნომინაციაში კი შემდეგი ავტორები მოხვდნენ: ივანე ამირხანაშვილი "თავისუფლების პარადოქსები", ლევან ბრეგაძე "ლიტერატურული (გამო)ძიებანი" და მაკო ჯანჯიბუხაშვილი "მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში."

აქვე შეგახსენებთ, რომ ცხრა ძირითადი ნომინაციის გარდა "საბას" მეათე, საპატიო ჯილდოც აქვს, რომელსაც ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადასცემენ. ამ პრემიის ლაურეატის ვინაობასაც ივნისის ბოლოს დაგეგმილ დაჯილდოების ცერემონიალზე გავიგებთ.

იტალია მინუს ფანტაზისტა

ზურაბ თალაკვაძე

ბუფონი და იტალია მეოთხედფინალში სხედან

ვებსტერის უნივერსიტეტის მიულაგებელ სასადილოში ბევრი ამერიკელი ეყარა. 18 წლის წინ ვენაში, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე მოვხვდი და მისაღები გამოცდების შემდეგ, საკოლექციო ქალაქში ორი კვირით დავრჩი. თბილისში, ბედნიერ ნათესავებთან ქართულად ჩაჯდომამდე. გამიმართლა, რომ მოვხვდი. გამიმართლა, რომ იმ საღამოს ვებსტერის სასადილოში მეც დავდე ერთი ადგილი დასასვენებლად და მერე რეალურად წამოიღო. ძალიან დიდ, დირექტორის კაბინეტიდან გამოტანილ ტელევიზორში იტალია-ნიგერია წავიდა. მსოფლიო ჩემპიონატი. ამერიკიდან. იტალიური ფანტაზიები და აფრიკული კანიბალიზმები.

ამერიკელები რაღაცაზე ჭორაობენ. ანუ, ვიცი, რაზეც და ფეხბურთთან იმ თემას ისეთივე კავშირი აქვს, როგორც ზოგადად ფეხბურთთან - დღევანდელ ქართულ ფეხბურთს. მთვრალი კლიფი, დაუბანელი რონი და კიდევ რამდენიმე კარგი ბიჭი როჯერ კლემენსზე საუბრობს. კლემენსი ბეისბოლის დიეგო მარადონაა. დღეს მორჩა როჯის სასამართლო პროცესი და მოსამართლემ, რომელიც მაგრად ჰგავს დენი დე ვიტოს, როჯერს Free man ხარ, მიდი, შენი ირლანდიური უკანალი აქედან წაიღე და აღარ დაგინახოო.

კლემენსზე ჭორაობა ცივი პიცის და ცივი ჩაის ათვისებით მიდის. პიცა არ მახსოვს და ჩაი ნაღდად ლიპტონის იყო. ვებსტერში სულ ლიპტონი იდო. ლიპტონი სასადილოში, ლიპტონი ისტორიის ლექტორის უფორმო ფეხებში, ლიპტონი ყველაზე მაგარი ხორვატი გოგონა სტუდენტის ლამაზ მკერდთან. ლიპტონი პოსტერზე და ლიპტონი ფეხბურთის დროს. უფრო მერფისი ან გინესი წავიდოდა, მაგრამ სასადილოში ალკოჰოლი არმოსული იყო და ლიპტონთან უნდა გეძმაკაცა.

სპილოებზე მონადირეების ბანდამ იტალიას აფრიკული გოლი მიარტყა. ძალით, ფანტაზიის გარეშე და უემოციოდ. მიარტყა და კიდევ ერთხელ მოიქნია ხელი. იტალია მეორედ შემორტყმას ვერ გაუძლებდა და ცისფერ გუნდს პატარა სუპერმენი გადაეფარა. სუპერმენი ელეგანტური კიკინით და ცბიერი ანგელოზის თვალებით. იმ ანგელოზმა ძირითადის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე იტალიურად, «დალნიში» შეუგდო ბურთი დაკუნთულ ბანდას და წავიდა დამატებითი დრო. იქ პატარა კაცმა კიდევ ერთხელ დაიღრიალა, ჰიენები მოვლენების ეპიცენტრიდან მოტყდნენ და იტალია მეოთხედფინალში გავიდა. მერე - ნახევარფინალში. ცოტა კიდე მერე - ფინალში და იქ ილუზიონისტმა პენალტების სერიაში პენალტი ვერ ხია. ანუ, ხია, მაგრამ ბურთი სხვაგან გაუშვა.

ილუზიონისტი რობერტო ბაჯო იყო.

ამერიკელები ვერ მიხვდნენ, ჯორჯიიდან ვებსტერში გაუგებრობით მოხვედრილ ბიჭს რატომ უხაროდა იტალიელების სიხარული. ამერიკელები ვერ მიხვდნენ, ჯორჯიიდან ვებსტერში ჩასული სტუდენტი რატომ არ ერთვებოდა კლემენსზე ჭორაობაში. როჯი მაშინაც ჩემი კაცი იყო და დღესაც ყველაზე მაგრად ვგულშემატკივრობ. კლემენსი ბეისბოლიდან წასულია და ჩემთვის დღესაც ბეისბოლის მარადონაა. ან რობერტო ბაჯო. ან ალესანდრო დელ პიერო. ფანტაზისტა.

იტალიაც ჩემი გუნდია. იტალიას საქართველოში საქართველოს ნაკრებზე მეტი გულშემატკივარი ჰყავს. ქართული ტემპერამენტი და პროვინციალიზმი. ხდება ხოლმე.

ბაჯო ბურთს ეფერებოდა. პატარა ტერასაზე გავიდოდა, მარტინის მოწრუპავდა და მიმტანს თვალს ჩაუკრავდა. მერე წავიდოდა რობერტოს სოლო და ზაკ უაილდი კიკინიანი გენიოსის აკომპანიატორი იყო. ფეხბურთის ჯეიმს ბონდმა, ბაჯომ ბევრისთვის ბევრი შეცვალა. ჩემთვისაც. «იუვენტუსი» სულ ჩემი გუნდი იყო და ბაჯოს «იუვენტუსი» მიყვარდა. საყვარელ გოგოს სიყვარულს რომ აუხსნი და გინდა, რომ მეტი უთხრა. გინდა მეტის თქმა და სიტყვები არ გაქვს, აჭრილი ხარ. გოგო ხედავს შენს მდგომარეობას, ეცინება და გიახლოვდება. მალე გაკოცებს და ბედნიერი იქნები. გულში ვეზუვი ამოხეთქავს და უკვე თითქმის ღმერთი ხარ რა...

ბაჯო ფეხბურთის ღმერთი იყო. ალესანდრო დელ პიეროც. ბევრისთვის, ფრანჩესკო ტოტიც.

გუშინ, პენსიონერების, ლოთების და მექანიკოსების ირლანდიასთან, იტალიამ ფანტაზიის, ფანტაზისტას, იმპრესიონიზმის გარეშე შეუბერა. იტალიას ჰყავდა ანდრეა პირლო და არ ჰყავდა ბაჯო, დელ პიერო, ტოტი. იტალია მაინც იტალიაა და ეს ბანდა მაინც ერთჯერადი მოხმარების პროდუქტია. ლამაზი, არაიტალიურად მოქნილი და ერთჯერადი.

იტალია ფლეი ოფში ზის და იმ ფლეიში ბევრს მართლა ოფს გაუკეთებს. იტალიურად, ცინიკური დაცვით გაუკეთებს. და წავა ჭორაობა იტალიურ გამართლებაზე, რაღაც სხვა სისულეებზე. ცოტას გაახსენდება რობერტოს კიკინა, ალესანდროს გული და ტოტის თვალები.

ისინი ტიტანები იყვნენ.

დღეს იტალიას არ ჰყავს ფანტაზისტა. და იტალია მაინც იგებს. იტალიურად.

ეს ბევრისთვის საკმარისია. ჩემთვის? ჯერ არ ვიცი.

1994. ძალიან დიდ, დირექტორის კაბინეტიდან გამოტანილ ტელევიზორში იტალია-ნიგერია წავიდა. მსოფლიო ჩემპიონატი. ამერიკიდან. იტალიური ფანტაზიები და აფრიკული კანიბალიზმები.

ჯეიმს ბონდმა მარტინი მოწრუპა და მოიგო. ფანტაზიით.

4 ივლისს დაბადებული

ალექსანდრე ასათიანი



ნოვაკ ჯოკოვიჩი უიმბლდონზე მოქმედი ჩემპიონი იქნება

უიმბლდონის წინ სამი დიდი ბიჭი რეიტინგის პირველი ადგილისთვის გაარჩევს საქმეებს. ნოვაკ ჯოკოვიჩმა შარშან მოიგო ფინალი, ბოლო ტესტში რაფაელ ნადალს წაართვა ოცნება და დაისვენა. სერბი რეიტინგის პირველ ადგილზე იმ უიმბლდონის შემდეგ დაჯდა. ეს 4 ივლისს მოხდა. უიმბლდონის წინ ნოვაკმა 42 თამაშიდან 41 აიღო (როჯერ ფედერერთან როლან გაროს ნახევარფინალში ვერ გაქაჩა) და წელს, ბლომად სარეიტინგო ქულა უნდა გაეშანსა. ამ სეზონში სერბი ცოტა დაღლილი, ცოტა უემოციო და ცოტა ცუდია. ნადალმა და როჯერმა ჯოკოვიჩთან სხვაობა შეამცირეს. უბრალოდ, შარშან სერბმა იდენტურ დროში შვიდი ტურნირი მოიგო. სერიოზული იყო.

პირველ ადგილზე დაბრუნების შანსი აქვს ფედერერს. როჯმა უნდა მოიგოს უიმბლდონი და ჯოკოვიჩი ფინალამდე უნდა მოტყდეს. როჯერი პირველად პირველი რვა წლის წინ, თებერვალში გახდა და ზედიზედ 237 კვირით წამოწვა კომფორტულ ტახტზე. ყველა დროის რეკორდი. ჯამური Number 1 პიტ სამპრასის არის - ამერიკელმა 286 კვირით მიიღო საუკეთესოს კეპი.

პირველ ადგილზე დაბრუნების შანსი აქვს ნადალსაც, რომელიც სერბმა შარშანდელი უიმბლდონის მოგების შემდეგ გააგდო საკრალური ტერიტორიიდან. ესპანელმა უნდა გაიშიფროს.

როჯერმა შარშანდელი სეზონის პირველი ნაწილი ცუდად დაფარა და ამერიკის ღია გარჩევების შემდეგ მოუმატა. გენიოსმა სეზონის ბოლო სამი ტურნირი (ბაზელი, პარიზი და მასტერსის თასი) მოიგო და ისევ განსაკუთრებულების უბანში დაბრუნდა. ამ სეზონში როჯერმა მოიგო ორი მასტერსი (ინდიან უელსი და მადრიდი) და ორი ხუთასიანი ტურნირიც (როტერდამი და დუბაი) დააფედერერა.

შვეიცარიელი უიმბლდონზე განსაკუთრებულია. პრინციპში, როგორც ნებისმიერ სხვა ტურნირზე. ნადალმა სწრაფ ბალახზე ტემპის დაგდება და მოგება დაამუღამა. ჯოკოვიჩიც ნიჭიერი ახალგაზრდაა. მოუმატებენ ჟო-ვილფრედ ცონგა და ხუან მარტინ დელ პოტრო. სახიფათო იქნება მაღალი და ტექნიკური მილოშ რაონიჩიც.

უიმბლდონი რეალურად საინტერესო იქნება.

პირველი ოთხეულის ქულები უიმბლდონის პროცესიდან გამომდინარე

ჩემპიონი		ფინალი	ფინალი	ფინალი
ჯოკოვიჩი	12 280	11 480	11 000	10 640
ნადალი	10 860	10 060	9 580	9 220
ფედერერი	11 075	10 275	9 795	9435
მარი	8 260	7 460	6 980	6 620

ATP-ს რეიტინგი

1(1). **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი)	12 280
2(2). **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი)	10 060
3(3). **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია)	9 435
4(4). **ენდი მარი** (დიდი ბრიტანეთი)	6 980
5(5). **ჟო-ვილფრედ ცონგა** (საფრანგეთი)	5 230
6(6). **დავიდ ფერერი** (ესპანეთი)	5 180
7(7). **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი)	4 685
8(8). **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი)	3 200
9(9). **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა)	3180
10(10). **ჯონ იზნერი** (აშშ)	2 655
11(11). **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი)	2 605
12(12). **მარდი ფიში** (აშშ)	2 535
13(13). **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი)	2 525
14(14). **ხუან მონაკო** (არგენტინა)	2 115
15(15). **გაელ მონფიზი** (საფრანგეთი)	1 805
16(16). **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი)	1 765
17(17). **ფელიციანო ლოპესი** (ესპანეთი)	1 725
18(25). **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია)	1 655
19(19). **რიშარ გასკე** (საფრანგეთი)	1 600
20(18). **კეი ნიშიკორი** (იაპონია)	1 600
29(34). **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია)	1 220
49(87). **ტომი ჰაასი** (გერმანია)	848
63(77). **სემ ქუერი** (აშშ)	705
71(80). **ბლაზ კავჩიჩი** (სლოვენია)	657
89(99). **ალბერტ მონტანიესი** (ესპანეთი)	585

WTA-ს რეიტინგი

1(1). **მარია შარაპოვა** (რუსეთი)	9 490
2(2). **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი)	8 800
3(3). **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი)	7 230
4(4). **პეტრა კვიტოვა** (ჩეხეთი)	6 775
5(5). **სამანტა სტოსური** (ავსტრალია)	6 100
6(6). **სერენა უილიამსი** (აშშ)	5 640
7(7). **კაროლინ ვოზნიაცკი** (დანია)	4 366
8(9). **ანგელიკ კერბერი** (გერმანია)	4 055
9(8). **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი)	3 720
10(10). **სარა ერანი** (იტალია)	3 350
11(11). **ნა ლი** (ჩინეთი)	3 245
12(13). **ვერა ზვონარევა** (რუსეთი)	3 160
13(12). **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი)	3 120
14(14). **ანა ივანოვიჩი** (სერბეთი)	3 070
15(15). **საბინე ლისიცკი** (გერმანია)	2 697
16(16). **კაია კანეპი** (ესტონეთი)	2 519
17(17). **ფლავია პენეტა** (იტალია)	2 470
18(18). **ანდრეა პეტკოვიჩი** (გერმანია)	2 420
19(19). **მარია კირილენკო** (რუსეთი)	2 295
20(22). **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი)	2 220
72(70). **ანა ტატიშვილი** (საქართველო)	872
200(194). **მარგარიტა ჩახნაშვილი** (საქართველო)	304
308(303). **სოფია შაფათავა** (საქართველო)	163

ბერლუსკონის ოთხწლიანი პატიმრობა ემუქრება

საფეხბურთო კლუბ "მილანის" მფლობელს სილვიო ბერლუსკონის ფინანსურ მაქინაციებში ედება ბრალი. კერძოდ, საუბარია ბერლუსკონის კუთვნილ კომპანია Mediaset-ის მიერ სამაუწყებლო უფლებების ყიდვისას განხორციელებულ გარკვეულ ფინანსურ მაქინაციებზე. იტალიურ პროკურატურაში ბერლუსკონის წინააღმდეგ უკვე აღძრულია საქმე. იტალიელ სამართალდამცავებს იმედი აქვთ, რომ ქვეყნის ყოფილ პრემიერს სამ წელიწადს და რვა თვეს პატიმრობას მიუსჯიან.

ბრალდების აზრით, ბერლუსკონი და Mediaset განზრახ ზრდიდნენ ფასს ამერიკული სატელევიზიო ინდუსტრიის პროდუქციაზე და სოლიდურ მოგებას ოფშორულ ზონებში გახსნილ ანგარიშებზე რიცხავდნენ. სწორედ ამის გამო Mediaset-ს გადასახადების დამალვა ედება ბრალად.

რატომ აჩუმებდა ბონუჩი ბალოტელის

იტალია-ირლანდიის მატჩის ბოლო წუთზე მარიო ბალოტელიმ მიმდინარე ევროპის პირველობის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა. იტალიელთა ჭირვეულ ფორვარდს პირველმა ლეონარდო ბონუჩიმ მიულოცა, თან პირზე ხელი ააფარა და მარიოს ლაპარაკის საშუალება არ მისცა. მატჩის შემდეგ ბონუჩიმ თავისი საქციელი ახსნა: "ინგლისურად დაიწყო ლაპარაკი. მივხვდი, რასაც ამბობდა და ამიტომ პირზე ხელი ავაფარე. გასახდელში მარიოს ვესაუბრე. ვიცი, თუ რაოდენ დაძაბულია", - უთხრა ბონუჩიმ გამოცემა Tuttosport-ს.

ამავე გამოცემის ინფორმაციით, ბალოტელის უთქვამს: "ყველანი ნაბიჭვრები არიან". ვისი მისამართით იყო ეს ფრაზა ნათქვამი, ძნელი გასარკვევია. ბონუჩიმ სუპერმარიო დროზე გააჩუმა.

ბენდტნერი რეკლამისთვის დასაჯეს

როგორც მოსალოდნელი იყო, დანიის ნაკრების ფორვარდი ნიკლას ბენდტნერი დაისაჯა. პორტუგალიასთან გამართულ შეხვედრაში, გოლის გატანის შემდეგ, ბენდტნერმა შორტები ჩაიწია და გამოაჩინა ტრუსი, რომელზეც ერთ-ერთი ტოტალიზატორის რეკლამა იყო გამოსახული.

ამის გამო ნიკლასი ეროვნული გუნდის მომდევნო ოფიციალურ თამაშს გამოტოვებს. გარდა ამისა, დანიელმა შემტევმა 100 ათასი ევროც უნდა გადაიხადოს.

36:2 და 33:1 - რუმინული ფეხბურთის ანომალიები

სანამ უკრაინა-პოლონეთში ევროპის საუკეთესო ნაკრები გუნდები კონტინენტის ჩემპიონის ვინაობას არკვევენ, რუმინელი ფეხბურთელები ამტკიცებენ, რომ ადამიანის შესაძლებლობები განუსაზღვრელია. რუმინეთის ჩემპიონატის მეხუთე დივიზიონში, ოლქ ბრაზაუში, ბოლო ტურის მატჩები იმართებოდა. მეოთხე დივიზიონში აღზევებისთვის იბრძოდა ორი კლუბი - "ვოინიცა ლაურანი" და "პუეშტა". ბოლო ტურის მატჩების დაწყების წინ გუნდებს თანაბარი ქულები ჰქონდათ, ბურთების თანაფარდობის მხრივ კი "ვოინიცას" უპირატესობა ექვსი გოლი იყო. ცხადია, "პუეშტას" ფეხბურთელებს ბოლო ტურში ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა სურდათ და მეტოქეს მედგრად შეუტიეს. 36:2 - ასე მოიგო "პუეშტამ". როგორ ფიქრობთ, "ვიონიცას" ფეხბურთელები ისეთივე ადამიანები არ არიან, როგორც "პუეშტასი"? რა, მათ არ შეეძლოთ ასტრონომიული ანგარიშით მოგება? როგორ არა. 33:1 - ასე მოიგო თავისი მატჩი "ვოინიცამ" და უპირატესობაც შეინარჩუნა. პრობლემა ის არის, რომ, ეტყობა, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ ადამიანის უკიდეგანო შესაძლებლობების თაობაზე არაფერი იცის. ფეხბურთის რუმინელმა მაღალჩინოსნებმა არ დაიჯერეს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია და ამ ანომალური მატჩების მონაწილე ოთხივე გუნდი გათამაშებიდან მოხსნეს. მეოთხე დივიზიონის საგზური კი "უნირია სტალუმ" მოიპოვა.

"ბარსელონაში" რომარიოს ვაჟი ითამაშებს

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რომარიომ, რომელიც წარსულში წარმატებით იცავდა "ბარსელონას" ღირსებას, განაცხადა, რომ მისი ვაჟი, რომარინიო, შესაძლოა, "ბარსელონაში" გადავიდეს. რომარიოს 18 წლის ვაჟი "ვასკო და გამაში" თამაშობდა, მაგრამ ამ კლუბთან კონტრაქტის ვადა ამოეწურა და ახლა თავისუფალი აგენტია. "რომარინიო "ბარსაში" გადავა. კატალონიურ კლუბში ბევრი მეგობარი მყავს. ვნახოთ, რამდენად მოიკიდებს ფეხს "ბარსაში". თავიდან, ცხადია, დუბლშემადგენლობაში მოუწევს ყოფნა. მომავალში კი, შესაძლოა, ძირითადში გადავიდეს. იმედია, ამ დიდ გუნდში დიდხანს ითამაშებს", - ამბობს რომარიო.

ინგლისი და საფრანგეთი

მიხეილ აბაიშვილი

იბრაჰიმოვიჩმა შვედების გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა

ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურს ერთი თავისებურება ახასიათებს: გუნდების ერთი ნაწილი ჩემოდნებს ალაგებს და სახლში გასამგზავრებლად ემზადება, ხოლო მეორე ნაწილისთვის ევროპის ჩემპიონატი რეალურად სწორედ ამ დროს იღებს სტარტს. ამ თვალსაზრისით ევროპირველობის ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეს შვედეთის ნაკრები, ასე ვთქვათ, "ჩემოდნებზე შემჯდარი" გამოვიდა სათამაშოდ. ყველასთვის მოულოდნელად, "იბრა და კომპანიამ" პირველ ორ შეხვედრაში კინკილა ქულის დაგროვებაც კი ვერ მოახერხეს და მათთვის ბოლო ტურის შეხვედრას მხოლოდ პრესტიჟის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით საფრანგეთს აშკარად გაუმართლა, რადგან სატურნირო მოტივაციას მოკლებულ შვედეთს დაუპირისპირდა. თუმცა, როგორც კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე გამართულ შეხვედრაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, შვედები არა თუ არ აპირებდნენ ლორან ბლანის გუნდისთვის 3 ქულის ხონჩით მირთმევას, არამედ დაამტკიცეს, რომ წინა შეხვედრებში მარცხი და ევროპირველობასთან ნაადრევად დამშვიდობება ფატალური შემთხვევითობა იყო. შეგახსენებთ. ჯერ უკრაინასთან, ხოლო შემდეგ ინგლისთანაც სკანდინავიელები იგებდნენ, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვეღარ შეძლეს და დამარცხდნენ. ამჯერადაც ვიკინგებმა ბოლომდე იბრძოლეს და არა მხოლოდ ანგარიშში დაწინაურება შეძლეს გუნდის ლიდერ-კაპიტნის, იბრაჰიმოვიჩის ძალიან ლამაზი და ეფექტური გოლის წყალობით, არამედ ამჯერად მაინც ეს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს. უფრო მეტიც, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ოლსონმა შეტევეზე დიდი ძალებით გადასული და კონტრიერიშზე წამოგებული ფრანგები კინაღამ მეოთხედფინალის მიღმა დატოვა, როცა მეორე გოლი გაიტანა. შეხვედრა 2:0 დასრულდა. აქვე ვიტყვი, რომ ამ მარცხით შეწყდა საფრანგეთის ნაკრების 23-თამაშიანი წაუგებელი სერია.

D ჯგუფის ცენტრალური შეხვედრა დონეცკში გაიმართა, სადაც უშუალო კონკურენტები, 3-ქულიანი უკრაინა და 4-ქულიანი ინგლისი შეხვდნენ ერთმანეთს. უკრაინა ამ მატჩს აუნაზღაურებელი დანაკლისით შეხვდა: წინა მატჩში ტრავმა მიიღო და სრულად რეაბილიტირება ვერ მოასწრო ანდრეი შევჩენკომ, რის გამოც «შევა» სათადარიგოთა სკამზე დარჩა. ექიმების ვერდიქტი ასეთი იყო: "შევჩენკო იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ იგი ამას თავად გადაწყვეტს". ბლოხინმა არ გარისკა და შევჩენკო ძირითადში არ დააყენა, თუმცა, მეორე ტაიმში მისი თამაშში შეშვება მაინც მოუხდა. ამ ვითარების საპირისპიროდ, როგორც იქნა, ინგლისელი ფანების მთავარ იმედს, დისკვალიფიკაციის ვადა ამორწურა და "მან იუს" სუპერფორვარდი, უეინ რუნი ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა. როი ჰოჯსონი ამ ფაქტით ძალიან კმაყოფილი იყო, რაც მატჩისწინა პრესკონფერენციაზე არ დაუმალავს. "რუნის შეტევაში ჩვენი თამაში უკეთესობისკენ შეუძლია შეცვალოს. მისი გამოსვლა ფსიქოლოგიურადაც ძალიან დიდ სამსახურს გაგვიწევს", - კმაყოფილება არ დაუმალავს ინგლისელთა თავკაცს. ჰოჯსონი არც შემცდარა. სწორედ რუნი გამოდგა ის ფეხბურთელი, რომელმაც ამ შეხვედრის ბედის გადამწყვეტი ერთადერთი შედეგიანი დარტყმა შეასრულა. საბოლოოდ, ინგლისმა მასპინძელი უკრაინა 1:0 დაამარცხა და ისევე, როგორც თანამასპინძელი პოლონეთი, ჯგუფში ჩატოვა. აღსანიშნავია, რომ 4 წლის წინ ავსტრია-შვეიცარიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზეც ვერც ერთმა მასპინძელმა ვერ შეძლო ჯგუფური ეტაპის ბარიერის დაძლევა.

შედეგად, მეოთხედფინალურ ეტაპზე 7-ქულიანი ინგლისი ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდა, სადაც იტალიას დაუპირისპირდება. ეს მატჩი კიევში 22 ივნისს გაიმართება. რაც შეეხებათ ფრანგებს, რომლებსაც 4 ქულა დარჩათ, მათ მეოთხედფინალში კიდევ უფრო მრისხანე მეტოქე ელით - ფიფას რეიტინგში პირველ პოზიციაზე მყოფი მსოფლიოს და ევროპის მოქმედი ჩემპიონი, ესპანეთი. ეს შეხვედრა დონეცკში 23 ივნისს გაიმართება.

▫ ჯგუფი

დონეცკი დონბასარენა
უკრაინა - ინგლისი 0:1 (0:0)
გოლი: 0:1 რუნი 58`
კიევი, რესპუბლიკური სტადიონი
შვედეთი - საფრანგეთი 2:0 (0:0)
გოლები: 1:0 იბრაჰიმოვიჩი 54`, 2:0 ოლსონი 90`

ტრევიზოში შენგელიას NBA-ს გუნდების წარმომადგენლები შეხვდნენ

პირველი გვერდიდან

- ყველამ დაინახა, თუ რა შესაძლებლობების მოთამაშეა თორნიკე შენგელია. მიუხედავად იმისა, რომ დაძაბული ფინალური სერიების შემდეგ დაღლილი ჩამოვიდა ტრევიზოში, იმდენად კარგად იასპარეზა, რომ NBA-ს გუნდების წარმომადგენლებმა მას აუდიენცია დაუნიშნეს.

- რომელი გუნდების წარმომადგენლებმა დაუნიშნეს აუდიენცია და რაზე ესაუბრნენ?

- "მაიამი", "ჰიუსტონი", "სან ანტონიო", "ოკლაჰომა"... ეს იმ გუნდების არასრული ჩამონათვალია, რომელთა წარმომადგენლებმა შენგელიასთან შეხვედრა და საუბარი ისურვეს. თორნიკემ შესანიშნავად გაართვა თავი NBA-ს კლუბების გენერალურ მენეჯერებთან აუდიენციას. ისინი, კალათბურთთან ერთად, ბევრ ცხოვრებისეულ საკითხზე ესაუბრნენ თორნიკეს.

- კლუბების წარმომადგენლებმა შენგელია წინასადრაფტო ვარჯიშებზე ხომ არ დაპატიჟეს?

- არა. შენგელია წინასადრაფტო ვარჯიშებში მონაწილეობას არ მიიღებს. ის ამერიკაში რამდენიმე დღეში გაემგზავრება და იქ მსუბუქად, ინდივიდუალურად ივარჯიშებს. შენგელიამ უკვე დაამტკიცა თავისი ძალა გასული სეზონის მატჩებსა და ევროკემპზე. წინასადრაფტო ვარჯიშებში ის კალათბურთელები მონაწილეობენ, რომლებსაც თავიანთი შესაძლებლობები დასამტკიცებელი აქვთ ან სადრაფტო სტატუსის კიდევ უფრო ამაღლება სურთ.

- ტრევიზოს კემპი საკმარისია იმისთვის, რომ NBA-ს ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღოს?

- საკმარისია. შენგელიამ ტრევიზოში მესამე დღეს ძალიან კარგად იასპარეზა. მისი კოზირი ის არის, რომ მრავალმხრივი მოთამაშეა. თითქმის ყველა კომპონენტში შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. როცა კალათბურთელი კარგად ესვრის, შესაძლოა, სროლა არ წაუვიდეს და მისი საქმე დამთავრებულია. შენგელია კი ბევრ კომპონენტშია ძლიერი და დიდი პოტენციალი აქვს. ტრევიზოში ეს ყველამ კარგად დაინახა.

-დაახლოებით თუ შეიძლება იმის თქმა, რომელ ნომრად ან ვინ აირჩევს შენგელიას?

- დრაფტის სპეციფიკა ისეთია, რომ ერთმა განსხვავებულმა არჩევანმა, შესაძლოა, ყველაფერი შეცვალოს. ფაქტი ის არის, რომ შენგელიას მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა. იმედი გვაქვს, 28 ივნისის საღამოს დრაფტის შედეგებით კმაყოფილი ვიქნებით.

"ფორბსმა" სპორტსმენთა მილიონები დამოგოთქა

გიგა გურასაშვილი

მეივეზერი ერთი წლის განმავლობაში 85 მილიონით გამდიდრდა

წონითი კატეგორიების მიუხედავად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოჩხუბარი ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი ჟურნალ "ფორბსის" მსოფლიოს 100 ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენთა ნუსხას ჩაუდგა სათავეში. ამერიკული გამოცემის თანახმად 2011 წლის ივნისიდან 2012 წლის ივნისის ჩათვლით, ამერიკელმა მოკრივემ 85 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, არადა ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ გავიდა რინგზე, რაც მთლიანობაში საათზე ნაკლებ დროში გაგრძელდა (შარშან სექტემბერში ვიქტორ ორტისთან 40 მილიონი, ხოლო წლეულს მაისში მიგელ კოტოსთან ჩხუბში 45 მილიონი მიიღო ჰონორარის სახით).

საინტერესოა ისიც, რომ "ფორბსის" მიერ ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენთა ნუსხაში მოხვედრილი მეივეზერი, რომლის საბანკო ანგარიშებიც ათეულობით მილიონს ითვლის, დღესდღეობით ლას ვეგასის ერთ-ერთ საპატიმროში იხდის სასჯელს - 2010 წელს ყოფილ მეგობარ გოგონაზე თავდასხმის ბრალდება (რაც ოჯახური ძალადობის მუხლით შეფასდა), სამი თვით თავისუფლების აღკვეთით დასრულდა.

გამოდის, რომ მეივეზერი "ფორბსის" წყალობით ყველაზე მდიდარი პატიმარია.

"ფორბსის" ამავე ნუსხაში თუ რეიტინგში 62 მილიონით მეორე საფეხურზეა გამწესებული მეივეზერის მარადიული მეტოქე ფილიპინელი მენი პაკიაო, რომელმაც ახლახანს კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონობა დაკარგა ამერიკელ ტიმოტი ბრედლისთან.

მესამე ადგილზეა გოლფის ამერიკელი დიდოსტატი ტაიგერ ვუდსი, რომელიც "ფორბსის" ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენთა სიას 2001 წლიდან ედგა სათავეში. ირკვევა, რომ ერთი წლის განმავლობაში ვუდსს 59,4 მილიონი დოლარი (16 მილიონით ნაკლებია შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით) გამოუმუშავებია.

ამერიკული ჟურნალის ათეულში შესაბამისი თანმიმდევრობით შევიდნენ კალათბურთელი ლებრონ ჯეიმსი (53 მილიონი), ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი (52,7), კალათბურთელი კობი ბრაიანტი (52,3), გოლფისტი ფილ მიკელსონი (47,8), ფეხბურთელები დევიდ ბექჰემი (46) და კრიშტიანუ რონალდუ (42,5), ასევე ამერიკული ფეხბურთის წარმომადგენელი პეიტონ მენინგი (42,4).

მაღალანაზრაურებად სპორტსმენთა შორისაა ორი ქალი სპორტსმენიც. ამასთან ორივე ჩოგბურთელია - რუსი მარია შარაპოვა 27,6 მილიონით 26-ე ადგილზეა, ხოლო 18,4 მილიონით 81-ე საფეხურზეა ჩინელი ნა ლი.

და კიდევ, ასეულში ყველაზე მეტი ადგილი უკავიათ ამერიკული ფეხბურთისა (30) და კალათბურთის (13) წარმომადგენლებს. "ფორბსმა" არც აქ დაიზარა და ასეულში მყოფ სპორტსმენთა შემოსავლების შეჯამებით 2,6 მილიარდი დოლარი მიიღო.